საერთო გაზეთი

№24 (574) • 19 აგვისტო, 2020წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

თუ გვინდა რომ საქართველო არ დამთავრდეს, უნდა დამთავრდეს „ნაცმოძრაობა“ – 21-ე საუკუნის ქართული ფაშიზმი

რისკენ მოგვიწოდებს ზოგიერთი ჩვენი დასავლელი მეგობარი – არჩევნების სამართლიანად ჩატარებისკენ თუ არჩევნების ისე გაყალბებისკენ, რომ კოალიციური მთავრობის შექმნის აუცილებელი პირობა შეიქმნას?

რამაზ საყვარელიძე:

მოხერხება უნდა იმას, რომ ამ პირობებში „ნაცების“ რეიტინგი ასწიო, ძალიანაც რომ მოინდომოს, ამას „ქართული ოცნება“ ვერ მოახერხებს

GEMUANI

• გ ე მ უ ა ნ ი •

ნონა თორდია:

სულ ვფიქრობდი, როგორ შეიძლება არსებობდეს კვებითი მრეწველობის მიმართულებით ისეთი რამ, რაც საქართველოში განვითარებული არაა-მეთქი და ვიპოვე ეს ტექნოლოგიაც — სუბლიმაცია, რომელსაც იყენებენ საკვები პროდუქტების მოსამზადებლად კოსმონავტებისთვის და ჯარისკაცებისთვის. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ტექნოლოგია საკვების ხანგრძლივი შენახვისთვის.



პოსტჰუმანისტების აზრით, თვითონ ადამიანი არის ღმერთი და ის გამოძერწავს საკუთარ თავს, როგორც ღმერთი ღმერთს...

ხომ გეუბნებოდით, გაფრინდებიან-მეთქი?!

გამატარეთ, გამიშვით, არ დამიჭიროთ, ფეხი უნდა დავადგა პირდაპირ გულის ფიცარზე. ამ ახალი დროის აღმა მშენებლებს ყველა ლელოს და გამოლელოებულს

ბელარუსში არეულობა და სამოქალაქო დაპირისპირებები არჩევნების შედეგების გამოქვეყნებამდე გაცილებით ადრე დაიგეგმა

ანგლოამერიკელების ბიზნესი ნაცისტებთან

უპატრონოდ დარჩენილი ადამიანები უპატრონო ძაღლებისა და მათი ქომაგი ადამიანთმოძულე „ჰუმანისტების“ პირისპირ

თუ გვინდა რომ საქართველო არ დამთავრდეს, უნდა დამთავრდეს „ნაცმოძრაობა“ – 21-ე საუკუნის ქართული ფაშიზმი

რისკენ მოგვიწოდებს ზოგიერთი ჩვენი დასავლელი მეგობარი – არჩევნების სამართლიანად ჩატარებისკენ თუ არჩევნების ისე გაყალბებისკენ, რომ კოალიციური მთავრობის შექმნის აუცილებელი პირობა შეიქმნას?

ვახტანგ ხარჩილავა

— ჩვენ დასავლური ორიენტაციის პარტიის ვართ! — აცხადებს პარტია, რომელიც ცოტა ხნის წინათ ქვეყანას შუასაუკუნეების ინკვიზიციური მეთოდებით მართავდა და რომელმაც ციხეები პატიმრებით გაავსო, ქუჩები კი უდანაშაულო ადამიანების ცხედრებით.

— ჩვენ დემოკრატიას და დასავლურ ღირებულებებს ვემსახურებით!

— აცხადებს ამავე პარტიის განაყოფი, რომელმაც სხვა სახელი დაირქვა, პასპორტი გადაიკეთა და ახლა ამ ყალბი პასპორტით ცდილობს ჩვენს მოტყუებას.

თუ ეს ორი პარტია (სინამდვილეში ერთი, მაგრამ ორად გაყოფილი), მართლაც დასავლური ორიენტაციის და დემოკრატიული ღირებულებების მატარებელ ორგანიზაციებად შეიძლება ჩაითვალოს, მაშინ ცუდი ყოფილა დასავლეთი და კიდევ უფრო ცუდი დემოკრატია, — ასეთ დასკვნამდე შეიძლება მივიდეს მოქალაქე, რომელმაც საკუთარ ზურგზე იწვნია ამ „პროდასავლელი დემოკრატების“ მმართველობის მთელი საშინელება.

ეს საბედისწერო დასკვნა ამ მოქალაქეს კიდევ უფრო უმყარდება, როცა ხედავს, რომ ამ ფსევდოდემოკრატებს და ფსევდომედასავლეებს დღემდე უჭერენ მხარს გარკვეული ძალები ხან ამერიკის კონგრესიდან, ხან ევროკავშირიდან, ხან — სხვადასხვა გავლენიანი საერთაშორისო ინსტიტუტებიდან. ამ მხარდაჭერას კი გულმხურვალე მოწოდებებსაც მოაყოლებენ ხოლმე: ჩაატარეთ სამართლიანი, გამჭვირვალე, დემოკრატიული არჩევნები, თორემ არჩევნების შედეგების ლეგიტიმაციის საკითხი ეჭვქვეშ დადგებაო.

საქართველო და მისი ხელისუფლება ოქტომბერში აუცილებლად ჩაატარებს სამართლიან, გამჭვირვალე, დემოკრატიულ არჩევნებს, მაგრამ თუ ქართველი ხალხი ნაცებს და ევრონაცებს იმდენ ხმას არ მისცემს, რომ ისინი კვლავ ხელისუფლებაში მობრუნდნენ, ამ შემთხვევაში არჩევნები სამართლიანად არ ჩაითვლება?

ფაშისტურ-კრიმინალური რეჟიმის ავტორები და შემოქმედები, ნაცები და ევრონაცები თუ „გაიმარჯვებენ“, ეს იქნება სამართლიანი და დემოკრატიული, მაგრამ თუ დამარცხდებიან, ეს იქნება უსამართლობა?

განა იმაზე არ მიგვანიშნებენ ჩვენი საზღვარგარეთელი მეგობრები და განა ამას არ გვეუბნებიან შეფარვით და შენიღბულად, როცა ხან ამერიკის კონგრესიდან, ხან ევროპარლამენტიდან, ცალკეული ჯგუფები მკაცრ წერილებს გვიგზავნიან და, ფაქტობრივად, გვემუქრებიან — ასე და ასე თუ არ მოიქცევით, მკაცრ ზომებს მივიღებთო?!

არ არის ეს ფსიქოლოგიური ზეწოლა, ფსიქოლოგიური ზემოქმედება ქართველ ხალხზე, საქართველოს ხელისუფლებაზე და პირდაპირი მინიშნება იმაზე, რომ არჩევნებში სამართლიანად კი არ უნდა ჩატარდეს, არამედ უნდა გაყალბდეს და თან იმნაირად, რომ კოალიციური მთავრობის შექმნის აუცილებლობა გაჩნდეს?

ე.წ. ოპოზიციური პოლიტიკური პარტიები, დიდიან-პატარიანად, ყველა ერთად და ყველა ცალ-ცალკე, ისეთი დარწმუნებით და დაბეჯითებით ამტკიცებენ, „ქართული ოცნება“ იმ რაოდენობის ხმებს ვერ მოაგროვებს არჩევნებში, რომ დამოუკიდებლად შეძლოს მთავრობის დაკომპლექტება და, აქიდან გამომდინარე, გარდაუვალია კოალიციური მთავრობის შექმნაო, ჩნდება გონივრული ეჭვი: — ეს სცენარი უკვე ხომ არ არსებობს სადღაც და ოპოზიციას ხომ არ არწმუნებენ, რომ მისი განხორციელება აუცილებლად მოხდება?

ამიტომ ხომ არ ლაპარაკობენ „ნაცები“, „ევრონაცები“, აგრეთვე სხვა ყარტაყურტა პარტიები ასე დაბეჯითებით, რომ შემოდგომაზე ხელისუფლება შეიცვლება?

ამიტომ ხომ არ აქვთ დიდი ცილობა და გაწევ-გამოწევა ამ საბრალოებს, თუ როგორ განაწილდება სამთავრობო პორტფელები არჩევნების შემდეგ, ვინ იქნება პრემიერ-მინისტრი და ა.შ.

ამ დღეებში ბელარუსში საგულისხმო და საყურადღებო ამბები ხდება — ქუჩებში გამოჩნდნენ მოქალაქეთა აგრესიული ჯგუფები, რომლებიც მოითხოვენ ბელარუსის საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვებულად გამოცხადდეს ვინმე ტიხანოვსკაია, რომელმაც ლუკაშენკოს 80%-ის საპირწონედ ამომრჩეველთა ხმების მხოლოდ 10%-ი მიიღო.

სად 10%-იდა სად 80-ი, მაგრამ ტიხონოვსკაიას მომხრეებს ეს ამბავი სულ არ აინტერესებთ — ტიხონოვსკაია გამოცხადდეს გამარჯვებულადო, მოითხოვენ და მორჩა.

გასაკვირი ის არის, რომ ამ ყოვლად თავხედურ, ავანტურისტულ და პროვოკაციულ მოთხოვნას დემოკრა-

ტიული თანამეგობრობის ბანაკიდან რამდენიმე სახელმწიფო გამოუჩნდა მხარდამჭერად და ბელარუსს სანქციებით დაემუქრა.

რამდენად სამართლიანია სანქციები იმის გამო, რომ ლუკაშენკომ 10%-იან კონკურენტს საპრეზიდენტო სავარძელი ხონჩით არ მიართვა?

პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური და წარმატებული ქვეყანა, სადაც ადამიანებს, სხვა რესპუბლიკებთან შედარებით, ცხოვრების ყველაზე ნორმალური პირობები ჰქონდათ, დღეს სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზეა.

ბელარუსული სცენარის ქართულ ვარიანტს ხომ არ ამუშავებენ ვიღაც-ვიღაცები საქართველოსთვისაც?

ქართულ ოცნებას, სრულიად დამსახურებულად, დღეს გაცილებით მაღალი რეიტინგი აქვს, ვიდრე ყველა ოპოზიციურ პარტიას ერთად აღებულს.

ფაქტია, რომ „ქართული ოცნება“ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებს გარედან გამოგზავნილი ინსტრუქციების და მითითებების გარეშეც სამართლიანად, გამჭვირვალედ და დემოკრატიულად ჩაატარებს და ყოველგვარი გაყალბების და სხვა მანიპულაციების გარეშე, დამაჯერებლად გაიმარჯვებს, მაგრამ ეს სულაც არ იძლევა იმის გარანტიას, რომ საქართველოშიც არ მოხდება იგივე, რაც დღეს ბელარუსში ხდება და გარკვეულმა ძალებმა, ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც, არჩევნების შედეგების გაუქმება ან გამარჯვებულად დამარცხებული ოპოზიციის გამოცხადება მოითხოვონ.

მსოფლიოში უკვე ტენდენციად ქცეული ეს ძალადობრივი მოვლენა თუ ნორმად უნდა დაწესდეს, მაშინ რა აზრი აქვს საერთოდ ამ დემოკრატობანას თამაშს — დაგვინიშნეთ პირდაპირ თქვენთვის სასურველი პირები უფროსებად — ხან სააკაშვილი, ხან ბოკერია ან თუნდაც ქართველი ნელსონ მანდელა – „პოლიტპატიმარი“ ჟორიკა.

●

დარწმუნებული ვარ, არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლები და მათი მხარდამჭერები ბევრს და მრისხანედ ილაპარაკებენ იმაზე, რომ არჩევნები გაყალბდა, თუმცა, სინამდვილეში, არჩევნების გაყალბებას ადგილი არ ექნება.

ბევრს და მრისხანედ ილაპარაკებენ იმაზე, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ხმები მოიპარა, თუმცა, სინამდვილეში, არც ერთი ხმა არ იქნება მოპარული.

ბევრს და მრისხანედ ილაპარაკებენ იმაზე, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ოპოზიციას გამარჯვება წაართვა, თუმცა „ქართულ ოცნებას“ არავისთვის არაფერი არ ექნება წართმეული.

ბევრს და მრისხანედ ილაპარაკებენ დემოკრატიაზე და დემოკრატიული ღირებულებების ხელყოფაზე ხელისუფლების მხრიდან, თუმცა ესეც სრული სიცრუე და მონაჭორი იქნება.

მიუხედავად ამისა, ოპოზიციის მხრიდან, პირველ ყოვლისა, ნაცებისა და ევრონაცების მხრიდან, მაინც იქნება თავგანწირული მცდელობა დესტაბილიზაციისა, არეულობისა, ქაოსისა.

იქნება მიზანმიმართული პროვოკაციები, რომ ხელისუფლება წონასწორობიდან გამოიყვანონ და შეცდომები დააშვებინონ.

ყოველივე ამის მთავარ ორგანიზატორად და იდეოლოგად, მიმართულების და ინსტრუქციების მიმცემად მოგვევლინება მიხეილ სააკაშვილი უკრაინიდან, საქართველოს მტერი, პოლიტიკური ურჩხული, ძალაუფლების ფლობის მანიაკალუ-

4 გვ. →

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, ტაშკენტის ქ. 18;
ტელ.: 593 44 04 01; 593 56 11 18.
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

მოხერხება უნდა იმას, რომ ამ პირობებში „ნაცების“ რეიტინგი ასწიო, ძალიანაც რომ მოინდომოს, ამას „ქართული ოცნება“ ვერ მოახერხებს

ამერიკა ფერად რევოლუციებს ახდენდა, პუტინს კი გამარჯვებულის კვარცხლბეკზე თავისი ხალხი აჰყავდა

გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე:

— ბატონო რამაზ, წინასაარჩევნო კამპანია, საკმაოდ, უღიმღამოდ მიმდინარეობს. პოლიტიკური ტემპერატურა, ცხელი აგვისტოს მიუხედავად, დაწეულია. როგორ ფიქრობთ, პოლიტიკურ დაფაზე ჭადრაკის რა პარტიებს თამაშობენ?

— საჭადრაკო პარტიის ხსენება მეტისმეტად დიდი კომპლიმენტია. არ მგონია პარტიებს რაიმე ჩანაფიქრი ჰქონდეთ, თუმცა, მათ ზოგადი მისწრაფება ყოველთვის აქვთ-ხოლმე, რათა ძალების მობილიზაცია ბოლო პერიოდისთვის მოახდინონ. მანამდე კი, წინ სექტემბერია. აგვისტოს დარჩენილი პერიოდი, პრაქტიკულად, დაკარგული დროა. ალბათ, ამიტომაც არის, რომ პოლიტიკოსები განსაკუთრებულ ძალისხმევას ერიდებიან და ძალების მობილიზებას სექტემბრისთვის აპირებენ. სხვა მიზეზებიც არსებობს: პარტიებს შორის დაპირისპირება დიდი ხანია გრძელდება. პრაქტიკულად, არჩევნები ჯერ დღის წესრიგშიც არ იდგა და დაპირისპირება უკვე პიკზე იყო. მათი მხრიდან ძალების ნაადრევმა მობილიზაციამ, ვითარების გამწვავებამ, ახლა, გარკვეული გამოფიტვა გამოიწვია. ძალების არასწორად გათვლილმა მობილიზაციამ შედეგიც შესაბამისი მოგვცა. საერთოდ, საარჩევნო კამპანიას დროში გეგმავენ, რასაც ის ფუნქცია აქვს, რომ კარგად იყოს განაწილებული ძალები და არ მიიღონ ის ეფექტი, რაზეც ახლა მოგახსენებთ — არ აღმოჩნდეს, რომ პოლიტიკურმა პარტიამ საკუთარი თავი უფრო ადრე ამოწურა. მგონია, რომ ოპოზიციურ პარტიებთან მიმართებით სწორედ ეს მდგომარეობა გვაქვს. მათ თავიანთი რესურსები, მოქმედების ხერხები, ენერგია უფრო ადრე ამოწურეს, სანამ საარჩევნო პიკს მიაღწევდნენ.

— ადრე მითხარით, ივანიშვილი საარჩევნოდ სათანადო ნაბიჯებს გადადგამსო. თქვენი პროგნოზი გამართლდა?

— რაიმე ახალი განსაკუთრებული სვლის აუცილებლობა „ქართულ ოცნებას“ აღარ აქვს. თუმცა, იგი, რა თქმა უნდა, ჩვეული წინასაარჩევნო აუცილებლობების წინაშე დგას. კერძოდ, მან მოსახლეობას უნდა მიაწოდოს ინფორმაცია იმ მოვლენების შესახებ, თუ რა გაკეთდა მისი მმართველობის პერიოდში. ბუნებრივია, ამ პერიოდში „ნაციონალები“ გააქტიურდებიან და შეეცდებიან ვითარება გაამწვავონ. ამ დროს კი მოსახლეობას უნდა ჰქონდეს სრული ინფორმაცია „ქართული ოცნების“ მიერ გაკეთებული საქმეების შესახებ. ეს ყველაფერი გასაკეთებელია, რაც ჩვეულებრივი საარჩევნო ამოცანაა — განაცხადო რა გაგიკეთებია და კონკურენტებთან რა დამოკიდებულება გაქვს.

— ანუ „ქართული ოცნება“ ისეთს ვერაფერს „გააფუჭებს“, რომ „ნაცების“ რეიტინგი აიწიოს?

— კი ასეა. მოხერხება უნდა იმას, რომ ამ პირობებში „ნაცების“ რეიტინგი ასწიო. ძალიან რომ მოინდომოს, ამას „ქართული ოცნება“ ვერ მოახერხებს.

— დასავლეთი მოგვიწოდებს დემოკრატიული არჩევნები ჩავატაროთ, თუმცა პარტიების დიდ ნაწილს ამ ცნებასთან ახლოსაც არ ჩაუვლია.

— დასავლეთის მოწოდებები, ჩვენთვის, ახალი ხილი აღარ არის. ისინი თავს ვალდებულად თვლიან მსგავსი მითითებები ჟღერდეს. ერთი მხრივ ეს ცუდი არ არის შემდეგ კონტექსტში: ყველა პარტია გაითვალისწინებს, რომ დასავლეთი გვაკვირდება და საარჩევნო პროცესს მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდება. ბელორუსში მიმდინარე პროცესებმა დაგვანახა, რომ „ვარდების რევოლუციის“ სცენარი დავიწყებული არ არის. გამორიცხული არც ის არის, რომ მერე, არჩევნების შედეგებზე ძიძგილაობა დაიწყოს. ამიტომ, პრინციპში, ყველაფერს უნდა ველოდოთ. თუმცა მაინც მგონია, რომ საქართველოში პოსტსაარჩევნო დესტაბილიზაციას დიდი პერსპექტივა არ აქვს. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ გვქონდა შემთხვევა როდესაც მიუხედავად არჩევნების ჩატარების ხარისხისა, საქმე რევოლუციამდე მიიყვანეს. ვგულისხმობ, 2003 წლის „ვარდების რევოლუციას“

— ბელორუსის მოვლენები ახსენეთ. საქართველოში არსებობს მსგავსი რისკი?

— თითქმის დარწმუნებული ვარ, არჩევნების შემდეგ ეცდებიან დესტაბილიზაციის პირობების შექმნას და ა.შ. მაგრამ ასევე დარწმუნებული ვარ, ამ მცდელობას შედეგი არ ექნება იმიტომ, რომ განსხვავებით ბელორუსისგან საქართველოში ასეთი მეთოდები, უკვე, მობეზრებული აქვთ. ხალხი დიდი აღფრთოვანებით აღარ ხვდება დესტაბილიზაციას. მით უმეტეს, თუკი აჯანყებების ავტორად „ნაცმოძრაობა“ მოიაზრება.

— და მაინც, 31 ოქტომბრის მერე, შედეგების მიუხედავად, „ნაცმოძრაობის“ გამარჯვების აღიარებას ხომ არ მოგვთხოვენ?

— ამას ვერ მოგვთხოვენ იმიტომ, რომ თავად „ნაცების“ სოციოლოგიურ გამოკითხვებშიც კი ისინი გამარჯვებულ პარტიად არ გამოიყურებიან. დიახ, მათი დაკვეთით გაკეთებულ გამოკითხვებშიც კი გამარჯვებული „ქართული ოცნებაა“ და არა „ნაციონალური მოძრაობა“. იმისთვის რომ გამარჯვებულად გაღიარონ რაღაც საფუძველი ხომ უნდა არსებობდეს. მეორეც, ყურადსაღებია ამ საკითხზე ამერიკის — ტრამპის გამონათქვამები და დამოკიდებულება.

მაგრამ დამარცხების თაობაზე, აგერ, ლუკაშენკოზეც კი ვერ საუბრობენ იმ პროცენტიდან გამომდინარე, რაც ბელორუსის პრეზიდენტმა მიიღო მიუხედავად იმისა, რომ ქუჩაში ასეთი პროცესები მიდის. ამერიკა შეფასებაში ძალიან ფრთხილია. ამ შემთხვევაში არ გვაქვს ის სიტუაცია, რომ ამერიკის როგორც ნაცმოძრაობის დამცველის, გვეშინოდეს.

როდესაც მსოფლიომ ბოროტი ძალის — ნაციზმის წინააღმდეგ მობილიზაცია მოახდინა, იგი, მსოფლიოს ყველა ქვეყანას ემუქრებოდა. აღნიშნული ქვეყნები სწორედ იმან გააერთიანა, რომ ნაციზმი ყველასთვის ერთნაირად წარმოადგენდა საფრთხეს. თქვენ კითხულობთ, რატომ არ ერთიანდება მსოფლიო ჩვენს დასახმარებლად „ნაცმოძრაობისგან“ გათავისუფლების მიმართულებით. ნაციზმის დანაშაულობების დანახვას და გამოაშკარავებას ნიურნბერგის პროცესი დასჭირდა. მხოლოდ ამის მერე მიიღო მსოფლიომ გადაწყვეტილება, რომ ნაციზმი დამნაშავე პოლიტიკური ძალა იყო და მისი დაშვება აღარ შეიძლებოდა. ჩვენ ეს არც კი გაგვიკეთებია, რომ „ნაციონალების“ დანაშაულობები ასეთი თვალსაჩინო ყოფილიყო. არც ის გვიცდია, რომ მსოფლიოს დანარჩენ ნაწილს დაენახა თუ ვის ინტერესებში შედის ის, რასაც „ნაციონალები“ აკეთებენ. ახლა, 2008 წლის ომზე დაიწყეს ლაპარაკი, რომ ეს რუსეთის ინტერესებში შედიოდა და „ნაცმოძრაობა“ ოკუპანტ ქვეყანას უწყობდა ხელსო. უკვე რამდენი წელი გავიდა. ჩვენ არ გვაქვს დოკუმენტურად გამყარებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „ნაცმოძრაობის“ მოქმედებები ემსახურებოდა რუსული ინტერესების გაძლიერებას. ეს რომ გვქონდეს, ამ საკითხზე მსოფლიოს დაინტერესება ხომ სხვაგვარი იქნებოდა და „ნაცების“ მიმართ უფრო კრიტიკულები იქნებოდნენ. ჩვენ საამისოდ არაფერი გაგვიკეთებია, უბრალოდ, ჩვენთვის სამზარეულოში ვიძახდით: უფ, უფ რა საშინლად იქცეოდა „ნაცმოძრაობაო“, თუმცა ეს ვერ დავასაბუთეთ. დასაბუთების გარეშე რატომ უნდა გაუწიოს იგივე დასავლეთმა ანგარიში შენს დამოკიდებულებას „ნაცების“ მიმართ?!

— არადა, სულ გვესმის: აშშ-მ ყველაფერი იცისო. განა, ის არ იციან რა უბედურებები დამართა ქვეყანას ამ პარტიამ?

— ამერიკა გვეუბნება: შენ ვინც გინდა ის აირჩიე, ოღონდ, ოპოზიცია — „ნაციონალური მოძრაობა“ არ დაჩაგროო. თქვენ, მეკითხებით: „ნაციონალებმა“ მრავალი უბედურება ჩაიდინეს ქვეყნისა და ხალხის წინაშე და მათი არჩევნებში მონაწილეობა როგორ არის დემოკრატიულიო. კი ბატონო, გეთანხმებით. მაგრამ საქმე იცით რაშია: — არ არის მკაფიოდ გარკვეული თუ რამდენი უბედურების ჩადენა ირიცხება ამ პარტიის ანგარიშზე. თითქოს, ყველამ ვიცით რაც გააკეთეს, მაგრამ მოსახლეობის 15–16% მხარს მათ უჭერს. მეორეც, მათი დანაშაულობების ამსახველი დოკუმენტური მასალა გვაქვს?

— დიახ, ათასობით ფაილი გვქონდა და გავანადგურეთ.

— მერე, ვინ გვთხოვა გაანადგურეთო — ამერიკამ? ჩვენ გავანადგურეთ, ხომ. ჩვენ ვამბობთ: ყველამ ყველაფერი ვიცით და რაღა საჭიროა საბუთებიო. ყველამ იცოდა რას წარმოადგენდა ალკაპონე, მაგრამ ფაქტების არარსებობის გამო იგი იმ დანაშაულობებზე კი არა, გადასახადების გადაუხდელობის გამო დააპატიმრეს. სასამართლოს გარეშე გასამართლებას ლინჩის წესი ეწოდება. ჩვენ, სულ გვინდა, რომ ლინჩის წესით ვიმოქმედოთ. თანამედროვე მსოფლიოში არ არის ეს ლინჩის წესით მოქმედება მიღებული. კი ბატონო, საქართველოში ეს იყო. გავიხსენოთ: „თემს რაც სწადია მას იზამს, თავის ხელობის წესითა“. მაშინ სასამართლო სულ არ სჭირდებოდათ. ახლა, სასამართლოს გარეშე ასეთი საკითხების გადაჭრა არსად ხდება გარდა იმ ქვეყნებისა, რომელთაც სამართალთან შესაბამისი ურთიერთობა არ აქვთ. ჩვენ, ხომ არ გვინდა ასეთი ქვეყნების რიგში ყოფნა. ქართული მხარისთვის გამოძიების წარმართვა ხომ არავის აუკრძალავს. ავიღოთ, „პატრიოტთა ალიანსი“, მან პარლამენტში შეიტანა დოკუმენტი, რათა „ნაცმოძრაობა“ გასამართლდეს, თან თქვა: მოდი, მასალები მოვაგროვოთო. შე კაი ადამიანო, იმ დონეზე მაინც შეაგროვე დოკუმენტაცია, რომ საკითხი დაიძრას. კი ბატონო, საბოლოო გამოკვლევები სახელმწიფოს კისერზე იყოს, მაგრამ სასამართლოშიც ხომ ასე ხდება: რაღაც საჩივარი რომ შეგაქვს, მისი საფუძვლიანობა უნდა დაასაბუთო. ვინმემ რომ თქვას: რამაზ საყვარელიძეს ჩემი მოკვლა უნდოდაო, საბუთს მოგთხოვენ, ხომ თუ რატომ ფიქრობ ასე. აქ, ამ დონეზე, საბუ-

4 გვ. →

თუ გვინდა რომ საქართველო არ დამთავრდეს, უნდა დამთავრდეს „ნაცმოძრაობა“ – 21-ე საუკუნის ქართული ფაშიზმი

3 გვ.

რი ინსტინქტებით გონდაბინდული არსება, რომლისთვისაც ოქტომბრის არჩევნები არის პოლიტიკური რეანიმაციის, პოლიტიკური რეაბილიტაციის ბოლო შანსი.

ახლა „ნაცმოძრაობის“ და მისი განშტოებების გადასაწყვეტია, პოლიტიკურ საფლავში ჩაყვებიან სააკაშვილს და მასთან ერთად გაიხვეტებიან პოლიტიკური ასპარეზიდან თუ იმ ადგილს დასჯერდებიან, რასაც მათ ქართველი ამომრჩეველი მიუჩენს.

●

როდის მიხვდება დასავლეთი და ზოგადად მსოფლიოს დემოკრატიული საზოგადოება, რომ „ნაცმოძრაობის“ გამოსარჩლება, „ნაცმოძრაობის“ გამოცხადება პროდასავლურ და დემოკრატიულ პოლიტიკურ ძალად, ეს არის დასავლეთისა და, საერთოდ, დემოკრატიული ინსტიტუციის შეურაცხყოფა და დისკრედიტაცია.

არავის არ მიუყენებია იმდენი ზიანი, არავის არ შეულახავს დასავლეთისა და მსოფლიოს დემოკრატიული ინსტიტუტებისთვის იმიჯი

ისეთი დიდი დოზებით, როგორც ეს ნაცმოძრაობამ გააკეთა თავისი მოღაწეობის 9 წლის მანძილზე.

ნაცმოძრაობა, რომელიც ამტკიცებდა, რომ პროდასავლური, დემოკრატიული ძალაა და მოქმედებდა, როგორც კრიმინალურ-ფაშისტური ბანდა, პირდაპირ უბიძგებდა დასავლეთით და დემოკრატიით განხიბლულ მოქალაქეებს რუსული ორბიტისკენ, რომ იქ ეძებნა ხსნა და საშველი ამ მოძალადე ხელისუფლებისგან თავის დასაცავად.

რატომ გახდა ასე ძნელი მისახვედრი ეს ყოველივე დასავლეთისთვის და რატომ ინარჩუნებს დღემდე სენტიმენტალურ განწყობებს „ნაცმოძრაობის“ და სააკაშვილის მიმართ, რომლის მკერდსაც დღემდე ამშვენებს დასავლეთის მიერ მიტყუპებული ბირკა — „დემოკრატიის შუქურა“.

თუ სააკაშვილი დემოკრატიის შუქურაა ყოველივე იმის შემდეგ, რაც მან საქართველოში გააკეთა, მაშინ დემოკრატია სხვა რამ ყოფილა და არა ის, რაც აქამდე გვეგონა.

თუ „ნაცმოძრაობა“ პროდასავლური ორიენტაციის პარტიად შეიძლება ჩაითვალოს, მაშინ ეს დასავლეთი ის დასავლეთი არ არის, რომლისკენაც საქართველო მთელი თავისი არსებობის განმავლობაში მიისწრაფოდა, როგორც მშობლიური სახლისკენ.

საქართველო და ქართველი ხალხი არ იმსახურებს იმას, რომ თვალში ნაცარი აყარონ და ჩვეულებრივი მკვლელები, სადისტები და ყაჩაღები დემოკრატებად შემოასაღონ, უფრო ზუსტად, დემოკრატებად „დაუნიშნონ“.

ეს ამაზრზენი დემაგოგია, ეს შეურაცხმყოფელი ფარსი უნდა დამთავრდეს!

თუ ვინმეს სურს, გულწრფელად დაეხმაროს საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობაში, დაეხმაროს იმაში, რომ საგნებს და მოვლენებს თავისი ნამდვილი სახელი დაერ-

ქვას და ყველაფერს ობიექტური პოლიტიკური და სამართლიანი შეფასება მიეცეს.

თუ ეს მოხდება, მაშინ აღმოჩნდება, რომ „ნაცმოძრაობა“ ეს იყო წმინდა წყლის დანაშაულებრივი ორგანიზაცია, რომლის შენარჩუნება პოლიტიკურ სივრცეში არა მარტო ამ შემაძრწუნებელ დანაშაულთა გამართლებას, არამედ ახალი დანაშაულების წახალისებას და წაქეზებას ნიშნავს.

აბსოლუტურად ვეთანხმები ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის მოსაზრებას, რომ „ნაცმოძრაობა“ უნდა დამთავრდეს.

თუ გვინდა, რომ საქართველო არ დამთავრდეს, უნდა დამთავრდეს „ნაცმოძრაობა“ — 21-ე საუკუნის საქართველოს სირცხვილი.

P.S ეს წერილი უკვე დასრულებული მქონდა, როცა დავით ბაქრაძემ, მეტსახელად „ჩანგალამ“, ამაყად და მტკიცედ განაცხადა: შეთანხმებულნი ვართ, რომ მომავალ კოალიციურ მთავრობაში სააკაშვილი, ადეიშვილი და მერაბიშვილი არ იქნებიანო.

აი, კაცი-რაინდი, აი, მახვილი სამართლიანობისა!

კოალიციურ მთავრობაში სააკაშვილი, მერაბიშვილი, ადეიშვილი არ იქნებიან, სამაგიეროდ, იქნებიან ბოკერია, უგულავა, ოქრუაშვილი, ბარამიძე, ბურჯანაძე, სხვები და სხვები და, რა თქმა უნდა, თვითონ, დავით ბაქრაძე.

კი, მაგრამ, იმ სამს რომ იწუნებენ, დანარჩენები რით სჯობნიან ან რით განსხვავდებიან იმ სამისგან?

სხვებს რომ თავი დავანებოთ, განა თავად ბატონი დავითი პარლამენტის თავმჯდომარე არ იყო ნაცების ზეობის დროს და ერთგულად არ „აპრავებდა“ ბელადის შავ-ბნელ საქმეებს?

რაც შეეხება ბოკერიას, სააკაშვილი ირწმუნება, რომ ეს ღვთისმოშიში, ღრმადმორწმუნე, მართლმადიდებელი კაცი, სააკაშვილი, სწორედ ბოკერიამ აცთუნა და ეშმაკის გზაზე შეაყენა.

ასე რომ, არ გამოგივათ თქვენ ეგ ფანდი, პატივცემულო დავით, ერთი კლასტერიდან ხართ ყველანი, ბოროტების კლასტერიდან და ერთად ემსახურებოდით რეჟიმს, რომელსაც „ნაცმოძრაობა“, ანუ ქართული ფაშიზმი ჰქვია.

კოალიციური მთავრობა გინდათ?

კოალიციური მთავრობა გინდათ იმ ქვეყანაში, სადაც პოლიტიკური პარტიები, ამ სიტყვის კლასიკური გაგებით, ფაქტობრივად, არ არსებობს?

კოალიციური მთავრობა კი არა, სამი თვე ვერ გაძელით ერთად, სამი თვე ვერ შეინარჩუნეთ ერთობა და ერთმანეთს დაერიეთ.

გიყურებთ, გისმენთ, გაკვირდებით და გაოცებას ვარ: — ამდენი ყეყეჩი, ამდენი თავდაჯერებული ბრიყვი, ამდენი უკუდო ამპარტავანი, ამდენი ფარისეველი და თვალთმაქცი ერთად როგორ შეიყარა იმ თავლაში, რომელსაც ქართული პოლიტიკა ჰქვია.

გამოსაწმენდია ეს თავლა, გამოსაგველია, თორემ ისეთი სიმყრალის სუნი გამოდის იქიდან, უკვე სუნთქვა ჭირს...

31 ოქტომბერი დიდი „უბორკის“ დღედ უნდა გამოცხადდეს!

მოხერხება უნდა იმას, რომ ამ პირობებში „ნაცების“ რეიტინგი ასწიო, ძალიანაც რომ მოინდომოს, ამას „ქართული ოცნება“ ვერ მოახერხებს

3 გვ.

თების შეკრებაც კი არ მოხდა. ეს ის გზაა, რომელსაც შეიძლება ენჯეოებმაც მიმართონ — შეკრიბონ მასალა და დააყენონ საკითხი: იკვლიონ დანაშაულობები. ვკითხულობ: ეს მასალა ოფიციალურად რატომ არავინ დადო?!

— მერე, ეს ვისი ბრალია?

— ქართველების დაუდევრობის. როცა ქართველები იმას არ გააკეთებენ, რაც საჭიროა, ასეთ შედეგს ვიღებთ. გავიხსენოთ გირგვლიანის საქმე, რომელიც სტრასბურგში განიხილებოდა. საქმეში უამრავი მასალა იდო. ჩვენ ვამბობდით: ყველაფერი ცხადიაო, მაგრამ სტრასბურგსაც იგივე დასკვნა რომ გაეკეთებინათ, ამას ხომ მასალა დასჭირდა.

— ვის ინტერესში არ არის იგივე მასალა „ნაცმოძრაობის“ ქმედებების შესახებაც დაიდოს?

— რა გითხრათ. ვის ინტერესშიც არის დაასაბუთოს „ნაცების“ დანაშაულობები — საკითხი ასე არ დგას, არამედ ვინ აიღებს საკუთარ თავზე ამ შრომას. ჩვენ ხომ შრომა გვეზარება და ამიტომ არ ვაკეთებთ იმას, რაც საჭიროა. კოალიციის დროს სახელმწიფო არ იყო დაინტერესებული „ნაცები“ დანაშაულობებში ემხილა, ასევე ბევრი პოლიტიკური ჯგუფი, მაგრამ ვისაც აინტერესებს, განა ის ამ სამუშაოს იღებს საკუთარ თავზე და აკეთებს?! ვისაც აინტერესებს „ნაცების“ დანაშაულობების დასაბუთება, ისინიც რომ უქმად არიან?! ამ შემთხვევაში, „პატრიოტთა ალიანსს“ ვგულისხმობ. ახლა, ია მეტრეველის გარშემო შეიქმნა ახალი ჯგუფი შესანიშნავი პიროვნებებით. წესით მათაც იგივე გზა უნდა გაიარონ, დადონ ფაქტები, უტყუარი არგუმენტები, რის შედეგადაც „ნაციონალების“ გასამართლების საკითხი დადგება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველაფერი ემოციებისა და გულის ფანის დონეზე დარჩება.

ამერიკაში ეს შეზღუდვა კანონით არის დამტკიცებული. მეორეც, პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიმართ მათ ეს დამოკიდებულება აქვთ შემდეგი პრინციპით: თუ ავტორიტარიზმია, იქ, ხელისუფლება არ იცვლება. ასეთი რამ გვაქვს: ყაზახეთში, ბელორუსში და ა.შ. საბჭოთა ავტორიტარიზმის პოსტსაბჭოთა დიქტატორების თავიდან აცილების მიზნით ამერიკას დაჟინებული აქვს შემდეგი: თუ დიქტატურა არ გაქვთ, მაშინ შეიცვალოს ხელისუფლებაო. კი ბატონო, ჩვენც ვამბობთ, რომ შეიცვალოს, მაგრამ ალტერნატივა არის?! იმაზე კი აღარ ფიქრდებიან, რომ ამისთვის საჭიროა პოლიტიკური სპექტრი მომწიფდეს, პარტიები უნდა დავაჟკაცდნენ, ადამიანებს დაემსგავსონ, ბრძოლის უნარი ჰქონდეთ და რაც მთავარია, ამომრჩევლის მხრიდან ყურადღებას უნდა იმსახურებდნენ. ეს თვისება არცერთ პარტიას არ აქვს. აი, აქედან რომ დაიწყონ დასავლელმა პარტნიორებმა საუბარი, ლოგიკური იქნება.

— როგორ ფიქრობთ, დასავლეთს მართლა ადარდებს, აქ, დემოკრატია იქნება თუ არა?

— ამერიკის პირადი ინტერესია ის, რომ საქართველო დემოკრატიაში იყოს ჩართული, რაც შესანიშნავად იცოდა მიხეილ სააკაშვილმა. ამიტომ იგი, მუდმივად, ხაზგასმით ამბობდა: ჩვენ, ორიენტირებული ვართ ამერიკაზე და ევროპაზეო. ასეთი რიტორიკა ჰქონდა სააკაშვილს. ამავე დროს, ისეთ საქმეებს აკეთებდა, რომელიც რა თქმა უნდა, ახლოსაც არ იყო დემოკრატიასთან. დასავლეთმა „ჭამა“ მიშას ეს ხერხი? — დიახ, „ჭამა“. ანუ, რასაც მიშა ლაპარაკობდა, იმას დაუჯერეს და რასაც აკეთებდა, იმას აღარ დააკვირდნენ. ამერიკასაც ნუ მოვთხოვთ პოლიტიკური ანალიზის ძალიან მაღალ დონეს. მიშა ტყუილების ბადეს ქსოვდა და ამაში უამრავი ვინმე გამოიჭირა. სააკაშვილმა 2003 წლის გადატრიალება სრულიად შეგნებულად გააკეთა იმიტომ, რომ ეს ბუშს აწყობდა. მას სჭირდებოდა ხავერდოვანი რევოლუციების ჯაჭვი უკრაინაში, საქართველოში და ა.შ. ამერიკის ინტერესში იყო, რომ ამ გადატრიალებების შედეგად ხელისუფლებაში მათი მხარდამჭერი პერსონები მოსულიყვნენ. საქართველოში ეს სპექტაკლი გათამაშდა. მიშა მათი მხარდამჭერი იყო და ხელისუფლებაში მოვიდა. ბუში მას დემოკრატიის შუქურას ეძახდა. მაგრამ ცოტა ხნის მერე, ამერიკამ ყირგიზეთში აღმოაჩინა, რომ იქაც, ხავერდოვანი რევოლუცია მოახდინეს, თუმცა მათი ოპოზიციის ლიდერი ციხიდან რომ გამოვიდა, გამოაცხადა: ახლა, ჩვენთვის, მოსკოვია ყველაზე მნიშვნელოვანიო. თურმე, პუტინის დასმული კაცი იყო. ანუ, ამერიკა რევოლუციებს ახდენდა და პუტინი თავის ხალხს სვამდა. ამიტომ ამერიკამ ამ გზით დემოკრატიაზე ზრუნვა შეწყვიტა. იმიტომ, რომ ამერიკას მარტო დემოკრატია კი არა, არამედ აქ, თავისი პოლიტიკური ორიენტაციის ხალხი სჭირდება. როცა დაინახა რომ ამას ვერ ახერხებს და პუტინი სჯობნის, ხავერდოვანი რევოლუციების მეთოდებს შეეშვა. დღეს ამერიკას თავისი გეო-პოლიტიკური ორიენტაციის ხალხი სჭირდება.

— კოალიციურ მთავრობაზე რას იტყვით?

— კოალიციური მთავრობა იმ ქვეყანაში, სადაც კოალიციის და კომპრომისის არანაირი კულტურა არ არის, ძალიან სახიფათო იქნება. ხომ ვნახეთ, ერთმანეთს როგორ უთანხმდებოდნენ კონკურენტებს ნუ დავაყენებთო. პირველივე კრიტიკულ ეტაპზე „ნაცმოძრაობა“ დანარჩენებს განუდგა და მერე, ყველა განუდგა ერთმანეთს და ეს მოწოდება დაივიწყეს. როდესაც შეთანხმების ნაწილში კულტურა არ არის, ისინი ერთმანეთისთვის ყოველთვის სახიფათონი იქნებიან. კოალიციური მთავრობა ვინ უნდა შექმნას? იქ, შედის ხალხი სხვადასხვა პარტიებიდან, ხომ. თუ ამ მინისტრებმა თავიანთ პარტიებზე ზრუნვა დაიწყეს, ქვეყანა დაინგრევა. ვიმეორებ, ამ პოლიტიკური კულტურის მქონე პარტიებთან კოალიციური მთავრობის შექმნა ძალიან სახიფათოა. თუმცა, ვფიქრობ, ეს საფრთხე არ დგას და „ქართული ოცნება“ მოახერხებს მთავრობა თავად დააკომპლექტოს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ბელარუსში არეულობა და სამოქალაქო დაპირისპირებები არჩევნების შედეგების გამოქვეყნებამდე გაცილებით ადრე დაიგეგმა

წლევანდელი საპრეზიდენტო არჩევნები, ბელორუსში, განსხვავებულად ჩატარდა. ხმის მიცემის პროცედურა 4 აგვისტოს დაიწყო და 9-ში დამთავრდა. თუმცა, წლევანდელი საპრეზიდენტო არჩევნები მშვიდობიანად რომ არ დასრულდებოდა, ჯერ კიდევ ივლისის დასაწყისში იგრძნობოდა. ამჯერად გამართლდა ექსპერტების ვარაუდი, მოსალოდნელია არეულობებიო, აცხადებდნენ ივლისის ბოლოს ბელორუსის საინფორმაციო საშუალებებმა გაავრცელეს სენსაციური ინფორმაცია — მათი ქვეყნის დედაქალაქ მინსკში დააკავეს რუსეთის 33 მოქალაქე, რომლებიც თურმე ბელორუსში არჩევნების დროს არეულობის მოწყობას გეგმავდნენ. გავრცელებული ინფორმაციით დაკავებულები კერძო დაცვის თანამშრომლები იყვნენ. მათ იარაღი, ან რაიმე აკრძალული ნივთები არ აღმოაჩნდათ.

ინფორმაცია, მართლაც სენსაციური იყო, რადგან ორივე ქვეყნის პრეზიდენტებს ალექსანდრე ლუკაშენკოს და ვლადიმირ პუტინს ერთმანეთთან საკმაოდ მჭიდრო და

თბილი ურთიერთობა აქვთ, რაც საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია. მიუხედავად ამისა, ლუკაშენკო ღიად დაუპირისპირდა რუსეთს. მისი განცხადებით, რუსეთი ბელორუსის სახელმწიფო სუვერენიტეტს ემუქრებაო. „...თუ ეცდებიან იარაღის გამოყენებას, მთელი რუსეთი, ვლადივოსტოკამდე ცეცხლის ალში გაეხვევა“ — სახალხოდ დაემუქრა. საინტერესო გახლდათ ის გარემოებაც, რომ ლუკაშენკომ იქვე განაცხადა: „...რუსეთი იყო, არის და იქნება ბელორუსის უახლოესი მოკავშირე, პარტნიორი ქვეყანა, მიუხედავად იმისა ვინ იქნებიან ქვეყნების სათავეში“.

რუსეთის მხარემ მკვეთრი განცხადებებისგან თავი შეიკავა, მაგრამ ფაქტზე მოკვლევა დაიწყო. არჩევნებში ხმის მიცემის პროცედურა უკვე მიმდინარეობდა, როდესაც გამოაქვეყნეს მოკვლევის შედეგები. გაირკვა, რომ დაკავებულ პირებს ინტერნეტის საშუალებით შესთავაზეს ვენესუელაში და ლიბიაში ნავთობმომპოვებელ ორგანიზაციების დაცვის სამსახურში მუშაობა. გამგზავრება, აღნიშნულ ქვეყნებში მინსკიდან უნდა განხორციელებულიყო. შუამავალი გაეცნო როგორც რუსეთის საელჩოს თანამშრომელი ბელორუსში. დათქმულ დროს უცხოეთში გასამგზავრებლად ჩავიდნენ მინსკში სამუშაოს მაძიებლები. ტექნიკური ხარვეზების მომიზეზებით რამდენიმე დღით სასტუმროში დაბინავება შესთავაზეს.

როგორც გაირკვა, ყოველივე უკრაინის სპეცსამსახურებმა განახორციელეს. ვითომ დასაქმების შეთავაზებით ჩაიყვანეს რუსეთის მოქალაქეები ბელორუსში, დააბინავეს სასტუმროში და ამის შემდეგ აცნობეს ბელორუს კოლეგებს რუსი „დივერსანტების“ მინსკში ყოფნა... აგორდა სკანდალი. სიმართლის გარკვევის შემდეგ რუსეთის მოქალაქეები დააბრუნეს სამშობლოში. დაკავებულების განთავისუფლებამ უკრაინის ხელისუფლების უკმაყოფილება გამოიწვია. პრეზიდენტი ვლადიმირ ზელენსკი გაღიზიანებული იყო, რადგან იმედი ჰქონდა ლუკაშენკო მას გადასცემდა დაკავებულებს.

არჩევნების პროცედურამ ბელორუსში მშვიდად ჩაიარა, არც მნიშვნელოვანი დარღვევები დაუფიქსირებიათ დამკვირვებლებს. არჩევნების წინასწარი შედეგები გამოცხადდა, როგორც მოსალოდნელი იყო ხმების 80%-ზე მეტი ერგო მოქმედ პრეზიდენტს ალექსანდრე ლუკაშენკოს, მის უახლოეს კონკურენტს სვეტლანა ტიხონოვსკაიას კი 10%-ზე ოდნავ მეტი. სამმა კანდიდატმა (პრეზიდენტობის სულ 5 კანდიდატი იყო) ხმების დანარჩენი რაოდენობა გადაინაწილეს. მოვლენებს გავუსწრებთ და ვიტყვით, რომ ბელორუსის ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ იგივე შედეგები გამოაქვეყნა.

...არეულობები ბელორუსის რამდენიმე ქალაქში ერთდროულად, წინასწარი შედეგების გამოცხადების შემდეგ დაიწყო, რაც სამი დღე გრძელდებოდა. არჩევნების შედეგებით უკმაყოფილო ხალხი, ძირითადად ახალგაზრდობა, საპროტესტო აქციებზე გავიდა. მათი მოქმედება სხვა ქვეყნებში (საფრანგეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში) დარბევების მსგავსი იყო — მილიციას ესროდნენ ქვებს, ბოთლებს, „მოლოტოვის კოქტეილს“, სხვადასხვა ასაფეთქებლებს. რამდენიმე მანქანით შეიჭრა ძალოვნების ჯგუფში... დაიღუპა ორი აქციის მონაწილე, მრავლად არიან დაშავებულები, მათ შორის 50-ზე მეტი ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლები. არეულობების დაწყებისთანავე პრეზიდენტობის ოპოზიციონერი კანდიდატი სვეტლანა ტიხონოვსკაია ლიტვაში გაიქცა, რომელმაც ვიდეოჩართვით მოუწოდა მოსახლეობას აღარ გამოსულიყვნენ აქციებზე და შეეწყვიტათ ძალადობა.

მილიცია თავაზიანობით ნამდვილად არ გამოირჩეოდა. დააკავეს 6,5 ათასი ადამიანი. ამის გარდა ძალოვნები უფლებამოსილების გადაჭარბებაში დაადანაშაულეს. ეს აღიარა და ბოდიშიც მოიხადა კიდეც შინაგან საქმეთა მინისტრმა იური კარაევმა. მისი განცხადებით, პროვოკატორები არეულობებს დიდ სავაჭრო ცენტრებთან და მაღაზიებთან აწყობდნენ, ამიტომაც დაზარალდა ბევრი უდანაშაულო ადამიანი.

საინტერესოა, რომ ბელორუსის უშიშროების თანამშრომლებმა დააკავეს რამდენიმე კოორდინატორი, რომლებიც ხელმძღვანელობდნენ დარბევებს. ერთ-ერთი სასტუმროში, მე-17 სართულზე ცხოვრობდა, რომელიც კარგად ხედავდა „სამოქმედო“ არეალს და დავალებებს რაციით აძლევდა. მის გარდა კიდევ 4 კოორდინატორს ჰქონდათ რაციები. ერთ-ერთს კი დიდი რაოდენობის ფული (აშშ დოლარები, ევროები) უპოვეს ზურგჩანთაში, რომელსაც ურიგებდა დარბევაში მონაწილეებს. ყოველივე მოწმობს, რომ არეულობა ბელორუსში სპონტანურად არ მომხდარა, წინასწარ საგულდაგულოდ იყო დაგეგმილი. ამას ადასტურებს ის გარემოებაც, რომ დაკავებულთა შორის მრავლად არიან უცხოეთის მოქალაქეები, ძირითადად უკრაინის და პოლონეთის.

პოლიტოლოგების შეფასებით, ლუკაშენკო აქციებს აშკარად მოუმზადებელი შეხვდა. ეგონა შეძლო დასავლეთთან მოლაპარაკება და პრობლემების აღმოფხვრა, მაგრამ შეცდა. რუსეთის ღია კრიტიკით დაბნია თავისი მხარდამჭერები. მართალია, ბოლო დღეებში რიტორიკა შეცვალა, პუტინსაც რამდენჯერმე ესაუბრა ტელეფონით. არ შეშინდა და მის მხარდამჭერების აქციაზე მივიდა, სიტყვითაც გამოვიდა. თუმცა, ყოველივე დაგვიანებული იყო ამოისუნთქა, როდესაც პუტინი დაპირდა — გარედან საფრთხის შემთხვევაში სამხედრო ძალით დაეხმარება.

მოსალოდნელი, სახელმწიფო გადატრიალების საფრთხე ბელორუსში ჯერ არ განელებულა. ასე თვლიან ექსპერტები. მათი აზრით ახლა მთავარია თუ როგორ შეძლებს მოლაპარაკებას შრომით კოლექტივებთან. იგივე ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ბელორუს ხალხს ისე კარგად არასოდეს უცხოვრიათ, როგორც ლუკაშენკოს პრეზიდენტობისას: დასაქმებულია მოსახლეობის 70%-ზე მეტი, ამუშავებულია ყველა სამრეწველო საწარმო, სოფლის მეურნეობა მაღალ დონეზეა, ბელორუსიში გამოშვებული პროდუქცია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გადის ექსპორტზე. ედავებიან რატომ ხარ დიდხანს ქვეყნის სათავეშიო. ამდენი კარგი საქმის გამკეთებელს თავად რომ გამოეთქვა წასვლის სურვილი, ჭკვიან ხალხს არ უნდა გაეშვა. შემახილმა ხე გაახმოო, ასე მოუვიდათ ბელორუსებს, უცხოელი „კეთილისმსურველები“ ეუბნებოდნენ თქვენთან დიქტატურაა, 26 წელი ერთი ადამიანია სათავეში რაც მიუღებელიაო და აყვნენ გადამთიელთა ენებს.

ოპოზიციას მხარს ძირითადად პოლონეთი, ჩეხეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები უჭერენ. პოლონეთი აპირებს ოპოზიციის დახმარების ფონდის შექმნას და ჩეხებთან ერთად ითხოვენ განმეორებით ჩატარდეს არჩევნები. ლიტვიის პრეზიდენტი გიტარას ნაუსედა კი კატეგორიულად მოითხოვს პრეზიდენტად უპირობოდ აღიარონ სვეტლანა ტიხონოვსკაია. მიზეზი მარტივია, არ ეთანხმებიან არჩევნების შედეგებს აცხადებენ, გაყალბებულიაო. საინტერესოა, როგორ შეიძლება 40–50 პროცენტი მოპარო რომელიმე კანდიდატს. მსგავს ტრიუკს აქაური გაყალბების დიდოსტატები გოგორიშვილი და თარხნიშვილიც ვერ გააკეთებდნენ. თუმცა, როდესაც აშშ-მა ყოველგვარი არჩევნების გარეშე ვენესულაში პრეზიდენტად დანიშნეს ხუან გუაიდო, რომელიც

იძულებული გახდა გარიდებოდა ხალხის რისხვას და ქვეყნიდან წავიდა, გასაოცარი არც არაფერი უნდა იყოს. ვნახოთ როგორ დასრულდება ბელორუსის მოვლენები.

შესაძლოა მავანს გაუკვირდეს რატომ ვუთმობთ ასეთ დიდ ყურადღებას ბელორუსის მოვლენებს. შემოდგომაზე საქართველოში, მოგეხსენებათ საპარლამენტო არჩევნებია. მსგავსი არეულობა იგეგმება ჩვენთანაც. ამის თქმის საფუძველს ბევრი ფაქტორი გვაძლევს. ყოველგვარი არეულობები ყალბი, ცრუ ინფორმაციით იწყება. მოსახლეობაში იქმნება ილუზია, თითქოს ქვეყანაში ყველაფერი ცუდად არის, ინგრევა, ხელისუფლება არჩევნების გაყალბებას აპირებს და ა.შ. საამისოდ რუპორები ქვეყნის შიგნით ბევრი გვყავს, თუნდაც სამი ვითომ დამოუკიდებელი და ვითომ ტელევიზიები ავიღოთ, ყველა კარგ წამოწყებას შავ ფერებში რომ აწვდიან ხალხს. ახლა ისიც ვთქვათ, რამდენი ჟურნალ-გაზეთი, ტელეარხი აშუქებს ობიექტურად ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს და ისინიც ხელისუფლების მხრიდან უყურადღებოდ კი არა საერთოდ მიტოვებულები არიან. აუცილებელია ხალხს ვუთხრათ ვინ აპირებს ხელისუფლებაში მოსვლას, ვინ არიან სინამდვილეში ე.წ. ოპოზიციონერები.

ახალგაზრდობა უყურადღებოდ გვყავს. იცოცხლეთ, კარგია უცხოეთში მიღებული კვალიფიცირებული განათლება, მაგრამ ვიცით რას ასწავლიან, რა ტრენინგებს უტარებენ უცხოეთში ჩასულებს? ბალორუსი ახალგაზრდები სარგებლობდნენ პოლონეთის ხელისუფლების მიერ ამოქმედებულ „პოლონელის ბარათით“ („კარტა პოლიაკა“), რაც ქვეყანაში დროებით ცხოვრების და სწავლის უფლებას იძლევა. შედეგი გამოჩნდა იქაური არჩევნების შემდეგ — არეულობებში ძირითადად ისინი მონაწილეობდნენ.

აშშ-ი კი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მზადება გრძელდება. დემოკრატების კანდიდატმა ჯო ბაიდენმა დაასახელა ვიცე-პრეზიდენტის კანდიდატი — კამილა ჰარისი. ფერადკანიანი სენატორი ქალბატონი კალიფორნიაში პროკურორიც იყო, დონალდ ტრამპმა კი კვლავ დასცინა ბაიდენს: „... კარგი სანახავი იქნება მძინარე ჯო და ყალბი კამილა“. გასულ კვირას 71 წლის ასაკში გარდაიცვალა დონალდ ტრამპის უმცროსი ძმა — რობერტი. „დავკარგე არამარტო ძმა, არამედ ერთგული მეგობარი“ — თქვა დონალდმა.

გია ბურდული
551 71 27 07

როგორ გახდა რომან გოცირიძე ეროვნული ბანკის პრეზიდენტი?

ბატონი რომან გოცირიძე ყოველთვის დაკავებული იყო თავისი პირადი კეთილდღეობის გაუმჯობესებით. მახსოვს როგორ შემომჩივლეს აფხაზეთიდან დევნილმა ეროვნული ბანკის სტაჟიანმა თანამშრომლებმა, რომ მათ შეუწყვიტეს (და არამარტო მათ) ე.წ. წელთა დამსახურებისათვის თანხების გაცემა და ეს თანხები მიმართული იქნა ბატონი რომანის ხელფასის გასაზრდელად. გოცირიძე თვლიდა, რომ მას არანაკლები ხელფასი უნდა ჰქონოდა, ვიდრე კომერციული ბანკის ხელმძღვანელებს. ეროვნული ბანკის "საქართველოს ბანკში" მონიტორინგზე შემოსული თანამშრომლებს, ყველაზე მეტად აინტერესებდათ ინფორმაცია სს "საქართველოს ბანკის" გენერა-

ლური დირექტორის ვლადიმერ გურგენიძის ხელფასის შესახებ და პირველ რიგში, ბანკში შემოსვლისთანავე საოპერაციო დეპარტამენტიდან იღებდნენ ინფორმაციას (დეპარტამენტს მაშინ მე ვხემძღვანელობდი). როგორც ცნობილია, "კომერციული ბანკების შესახებ" კანონის თანახმად ბანკის გენერალურ დირექტორის ხელფასის დანიშვნა ხდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, რომელსაც შემდგომში ამტკიცებს აქციონერთა საერთო კრება.

გოცირიძემ კი, შეიძლება ითქვას, ერთპიროვნულად მოკლე პერიოდში 8000 ლარიდან ჯერ 12000 ლარამდე, შემდეგ 18000 ლარამდე გაზარდა თვიური ანაზღაურება. როცა 24000 ლარამდე გადაწყვიტა თავისი ხელფასის გაზრდა, ეს თავხედობა, სავარაუდოდ, მიხეილ საკაშვილმა მას არ აპატია (საქართველოს პრეზიდენტი რამდენჯერმე ნაკლებ ხელფასს იღებდა), მითუმეტეს, ის არ აქტიურობდა ნაციონალების პარტიული ყულაბის შევსებით და ბატონი რომანი გაათავისუფლეს დაკავებული თანამდებობიდან.

საერთოდ ნონსენსია ის, თუ როგორ გახდა რომან გოცირიძე საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიტენტი. მას არ მიუღია უმაღლესი საბანკო განათლება, არასდროს არ უმუშავია საბანკო სისტემაში, ალბათ ბანკში ყოფილა მხოლოდ როგორც მომხმარებელი (კლიენტი), თუ არ ჩავთვლით შემდეგ ფაქტს. გასული საუკუნის 90-წლებში მან დააფუძნა კომერციული ბანკი "კერძო ბანკი". მისი წილი იყო 80%-ის ფარგლებში და რამოდენიმე წელიწადში გაკოტრებამდე მიიყვანა ბანკი. მან ნაცნობებს და უცნობებს გააყიდინა ბინები, ავტომობილები და აშშ დოლარებში ფულადი დანაზოგებით შეასყიდინა თავისი ბანკის აქციები. ის მათ შეპირდა, რომ დივიდენდებს უცხოურ ვალუტაში გადაუხდიდა. ბატონი რომანის თხოვნით, გაკოტრებამდე მიყვანილი ბანკის აქტივები "საქართველოს ბანკმა", როგორც იტყვიან, კაპიკებში შეისყიდა. ამის შემდეგ, "საქართველოს ბანკის" აქციონერთა კრებაზე, როცა აქციონერებს მისცეს ინფორმაცია აქციების რაოდენობაზე და მის ღირებულებაზე (მაშინ აქციების კოტირება არ ხდებოდა), უკანა რიგებში ჩოჩქოლი ატყდა. ჩვენ შეჩვეულნი ვიყავით აქციონერთა კრების ყოველთვის საქმიან და მშვიდ გარემოში მიმ-

დინარეობას. გაკვირვებულნი დავრჩით, 10–15 კაცი, "კერძო ბანკის" ყოფილი აქციონერი, წამომდგარიყო და აპროტესტებდა თავიანთი აქციების რაოდენობას. ისინი ხმამაღლა ამბობდნენ, თუ როგორ გააიყიდინა გოცირიძემ მათ ბინები და ავტომობილები და რამდენი თანხა შეატანინა უცხოურ ვალუტაში "კერძო ბანკის" აქციების შესაძენად. ვლადიმერ პატეიშვილმა მათ უთხრა, აქციების საკითხში ვერაფერს ვერ შეცვლიდა, მაგრამ შეპირდა, რომ შეახვედრებდა გოცირიძეს. როგორც გაკოტრებული "კერძო ბანკის" ყოფილმა თანამშრომლებმა მითხრეს, ეს შეხვედრა არ შემდგარა, რადგანაც შეიძლებოდა საქმე ფიზიკურ დაპირისპირებამდე მისულიყო.

ჩვენ მეზობელ რუსეთში, ასეთი საბანკო წარსულის კაცს რუსეთის ცენტრალური ბანკი, სადღაც მიყრუებულ ქალაქში კომერციული ბანკის ფილიალში განყოფილების უფროსად დანიშვნაზე არ დათანხმდებოდა. ხოლო ჩვენთან, წინა ხელისუფლების დროს, ის გახდა საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი და მოძღვრავდა საქართველოს საბანკო სისტემას.

ამას წინათ, ერთერთ სატელევიზიო ეთერში ბატონი რომანი თავის დიდ დამსახურებად მიიჩნევდა, რომ გიორგი ქადაგიძე, საბანკო საქმეში გამოუცდელი, 23 წლის ბიჭი, დანიშნა ეროვნული ბანკის ერთერთი წამყვანი, საბანკო ზედამხედველობის დეპარტამენტის ხელმძღვანელად.

რამოდენიმე საკითხს ჩამოვთვლი, რაშიც გიორგი ქადაგიძემ ეროვნული ბანკის პრეზიდენტობის პერიოდში თავი წარმოაჩინა, როგორც "საბანკო საქმის პროფესიონალმა":

- მას დიდი წვლილი მიუძღვის საქართველოს პარლამენტის მიერ "ბანკი ქართუს" გასაკოტრებლად სპეციალურად მიღებული კანონის – ბანკის მიერ სესხის გირაოში ჩადებული ქონებაზე საგადასახადო ორგანოების მიერ დადებული ყადაღის, ბანკზე უპირატესი უფლებებით სარგებლობის შესახებ";
- იურიდიული პირების მიერ ფიზიკურ პირებზე გაცემულ ე.წ. ონლაინ კრედიტების საპროცენტო სარგებელზე, არ დაადგინა არავითარი შეზღუდვები, რამაც გამოიწვია უამრავი საქართველოს მოქალაქის გაღატაკება;
- თავი შეიკავა ბანკების და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების დაცვისგან, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ხელი შეუწყო სახელმწიფოს მხრიდან, შეიძლება ითქვას მათ დაყაჩაღებას. რამაც გამოიწვია ზოგიერთის გაკოტრება;
- მამუკა ხაზარაძე და ბადრი ჯაფარიძე ვერ შეძლებდნენ 18 მილიონა აშშ დოლარამდე თანხის მითვისებას ეროვნული ბანკის მიერ გამოჩენილი პასიური პოზიციის გარეშე. ყველაფერს თავის სახელს თუ დავარქმევთ, ამას ქვია ეროვნული ბანკის მიერ ხაზარაძის და ჯაფარიძის თანხის მითვისებაზე თვალის დახუჭვა.

ეს არც არის გასაკვირი, წინა ხელისუფლების დავალებით თიბისი ბანკი ხელს უწყობდა ბანკებისა და მისოების (და არამარტო) გაკოტრებას, რომ მათი აქტივების ქვეშ გაცემული კრედიტები წარმართულიყო ნაციონალების მიერ გახსნილ სპეციალურ ანგარიშებზე. ასე მაგალითად, კომბანკი "კონსტანტა" (დამფუძნებლები და-ძმა ლებანიძეები) ერთი დღის განმავლობაში უცებ იაფად – 10 მილიონად შეისყიდა. თანხა გადაირიცხა ღამის 12 საათზე (ღამის თორმეტ საათზე რატომღაც თიბისიც და ეროვნული ბანკიც მუშაობდა). ამ ოპერაციით თიბისიმ ფაქტიურად ნახევარ ფასში შეისყიდა (ჩაყლაპა) სხვა კომბანკი – "კოსტანტა", რომელსაც წლების განმავლობაში ქონდა აწყობილი ფილიალების ქსელი რეგიონებში და აკრედიტებდა აგრარულ სექტორს და სოფლის მოსახლეობას. იმ პერიოდში თიბისი რეგიონებში არ აქტიურობდ და ამან მისცა შესაძლებლობა ესარგებლა რეგიონებში ბანკი "კონსტანტას" ქსელით. პროკურატურამ მისო "ფინაგროსაც" წაგლიჯა თანხები და ფაქტიურად ის გაკოტრებამდე მიიყვანა. ასევე ღამის თორმეტ საათზე აალებინეს სესხი 2 მილიონი ლარი თავისი 4–5 მილიონი ლარის აქტივების ქვეშ. დაწვრილებით ამის შესახებ თავის ფეისბუქ გვერდზე აღწერილი აქვს მისო "ფინაგროს" ხელმძღვანელს გიორგი ჭონიშვილს.

ასევე მოექცნენ სხვა მისოებს და ბანკების მეშვეობით სპეციალურ ანგარიშებზე შეატანინეს თანხები.

ერთადერთმა მისომ და მისმა სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ არჩილ ბაკურაძემ კატეგორიული უარი განაცხადა ასეთ უკანონო ოპერაციაზე (თანხა არ გადაიხადა) და ამ პროცესში ჩართო თავისი ამერიკელი პარტნიორები და ამერიკის საელჩო. ამის გამო წინა მთავრობამ შური იძია მასზე და მიუსაჯა ექვსთვიანი პატიმრობა.

არჩილ ბაკურაძემ ამერიკის საელჩოს ჩართვით, თავისი ღირსეული და პრინციპიალური ქმედებით, პრაქტიკულად გადაარჩინა ბევრი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, რომლებიც იყვნენ ეროვნული ბანკის მიერ პროკურატურისთვის გადაცემულ სიაში.

. ასევე კომბანკების ხელშეწყობით წინა ხელისუფლება ფულს სძალავდა წარმატებულ ბიზნესმენებს. ჩემი მეზობლები, ძმებმა ბესარიონი და ზვიადი დაიბარეს ბანკში და სესხი შესთავაზეს. მაშინ მათ ბიზნეს საქმიანობისთვის საკმარისი საბრუნავი თანხები ჰქონდათ. ბანკის მიერ კრედიტის შეთავაზების მიზეზს ისინი მოგვიანებით მიხვდნენ, როცა მათ "ტოიოტა ცენტრი თბილისში" შეიძინეს ძვირადღირებული ავტომობილები. რამოდენიმე დღეში ისინი პროკურატურამ დააკავა, მათ საკუთრებაში არსებული ობიექტის თითქოს არასწორად პრივატიზაციასთან დაკავშირებული ცრუ ბრალდებით. ერთი ძმა იმავე საღამოს გამოუშვეს, ღამის საათებში ბანკში გააფორმებინეს სესხი და შეატანინეს პროკურატურის მიერ მითითებულ ანგარიშზე.

სხვადასხვა დარგობრივ და არადარგობრივ ასოციაციებმა, სადაც გაერთიანებულები იყვნენ და არიან ბიზნეს კომპანიები, რომლებიც დაზარალდნენ წინა ხელისუფლების დროს (თანხების გამოძალვის შედეგად ზოგი გაკოოტრეს, ზოგს კიდევ ისე შეუმცირდათ წარმოება დღემდე სულს ღაფავენ და ამის გამო დაიკარგა უამრავი სამუშაო ადგილი) ინფორმაცია უნდა მიაწოდონ ბიზნეს სუბიექტების თანამშრომლებს, რომ მათ თავი შეიკავონ არჩევნებში ყოფილი ხელისუფლების მხარდაჭერისგან.

სააკაშვილის, ბოკერიას და ადეიშვილის (ყველასთვის ცნობილია, რომ ადეიშვილის უშუალო ხელმძღვანელობით და მითითებებით განხორციელდა ზემოთ ჩამოთვლილი ქმედებები) ხელისუფლებაში დაბრუნებას განსაკუთრებით ის ხალხი ესწრაფვის, ვისაც ბიზნესის დაყაჩაღებით უნდა გამდიდრება, რომ ისევ შელახონ ადამიანის ძირითადი უფლებები: კერძო საკუთრების უფლება და თავისუფლება.

ვასო ჯიშკარიანი
ფინანსისტი

ემანსიპაცია, როგორც იდეოლოგია

პოსტჰუმანისტების აზრით, თვითონ ადამიანი არის ღმერთი და ის გამოძერწავს საკუთარ თავს, როგორც ღმერთი ღმერთს...



მორალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრი, ფილოსოფოსი, პოლიტიკური იდეების ისტორიკოსი ფრანგი მწერალი **შანტა მიო-დელსო** არ მალავს რომ არის ქრისტიანი, კათოლიკე. თავის ბოლო ნაშრომში „სამყაროს სიძულვილი“ შანტა დელსო უტევს თანამედროვეობის უკანა, ნაკლებად ხილულ მხარეს. ვინაიდან ჩვენი პოსტქრისტიანული საზოგადოებები განთავისფლდნენ ძველი ბატონებისგან მაგრამ ჩაცვივდნენ ეგალიტარიზმის და სოციალური კონფორმიზმის ხაფანგში. ფილოსოფოსი გვიჩვენებს რომ ტოტალიტარული გემოს მქონე პოსტმოდერნულ ხანაში ახალი თანამედროვე დემიურგები ცდილობენ მათი შეხედულებების დაძალებას სხვებისთვის მაშინ როდესაც, პირიქით, საჭიროა ჩვენს ირგვლივ არსებული სამყაროს პატივისცემა, დელსო გვეუბნება რომ პრომეთეული მითი, რომელიც ჩანდა კომუნისტურ და ნაციონალ-სოციალისტურ ტოტალიტარიზმებში, რომლებსაც უნდოდათ ახალი ადამიანის, აუცილებლად სრულყოფილი პროლეტარის თუ არიელის შექმნა, დღეს დაბრუნდა როგორც ტრანსჰუმანიზმი (პოსტჰუმანიზმი) რომლისთვისაც ადამიანი უნდა იყოს თვითონ ადამიანის და არა ღმერთის ქმნილება. შეიძლება თუ არა ითქვას რომ ჩვენი სამყარო ტოტალიტარულია? დელსო შეგვახსენებს კომუნისტური აღმოსავლეთიდან მოსული მწერლების, ალექსანდრე სოლჟენიცინის თუ ვაცლავ ჰაველის გაოცებას. მათ სჯეროდათ რომ შეცვლიდნენ ცხოვრებას, მაგრამ აღმოაჩინეს რომ ნამდვილი თავისუფლება არაა აქ ისევე როგორც იქ საიდანაც წამოვიდნენ. მაგრამ ფილოსოფოსი, ტოტალიტარიზმის ხელისუფლებაზე მონოპოლიას აუცილებლად უმატებს ტერორს.თანამედროვე ხელისუფლების ცენტრში კი ტერორი არ უნდა იყოს. დღეს, რა თქმა უნდა, არსებობს ზეწოლები და შანტაჟი, მაგრამ ტერორი და ფიზიკური ძალადობა აღარაა. ეს ასეა, მაგრამ განა მარტო სახელმწიფოს ფიზიკურ ძალადობას უნდა გავუწიოთ ანგარიში? ჩვენს ქუჩებში სულ უფრო და უფრო იგრძნობა ფიზიკური დაუცველობა თუ კი არ ვილაპარაკოთ მის პროექსიზმულ გამოხატულება ტერორიზმზე. და ჩვენ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ მათ მოსახლეობათა გაკონტროლება და შებოჭვა ან ამ კონტროლის და შებოჭვის გაძლიერება? შორს ვართ თუ არა ტოტალიტარიზმისგან? დღეს ინდივიდებს გაუჩნდათ თუ გაუჩინეს მათი საზოგადოებებისგან და მათი კულტურებისგან განთავისუფლების სურვილი, შანტა დელსოს აზრით ესაა საყოველთაო ფენომენი, უნივერსალური, საყოველთაო სწრაფვა: ყველა ქვეყანაში, ყველა ტრადიციულ საზოგადოებაში ჩნდება მსგავსი მოვლენები. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი უნდა იყოს ის რომ ადამიანი ბუნებრივად მიდრეკილია იოლად ცხოვრებისკენ და ის ირჩევს საზოგადოებას რომელიც მას გაანთავისუფლებს მოვალეობებისგან და მისცემს ყველა, თუნდაც ყველაზე მცდარი ხუშტურების დაკმაყოფილების საშუალებას თუნდაც მისი მშობელი და მფარველი საზოგადოების ჯინაზე. შანტა დელსო გვეუბნება რომ ეს პროცესი ითრევს იმათაც ვისაც უნდათ თავისი ფესვების მონახვა: „უნდათ ნახვა დაკარგული კავშირისა, მაგრამ ჩვევისა და სიყვარულის გარეშე. უნდათ ერთგვარი საზოგადოება საზოგადოების გარეშე“. დასავლურმა სამყარომ განმანთავისუფლებელი სწრაფვა პირველმა განიცადა იუდაიზმის და ქრისტიანობის წყალობით.დელსოს თქმით მარტო იუდაიზმში და ქრისტიანობაშია „შხამიც და ამ შხამის წამალიც“, მარტო იუდაიზმი და ქრისტიანობა იძლევა ინდივიდის ემანსპაციის და ამ ემანსიპაციის მართვის საშუალებას. შანტა დელსო ამავე დროს გვეუბნება რომ ტოტალიტარიზმშიც და თანამედროვე საზოგადოებებშიც გამოვლენილი გადაგვარებული პრომეთეიზმი შეიძლება გავრცელდეს მხოლოდ პოსტქრისტიანულ საზოგადოებებში. შანტა დელსო ძალიან ფაქიზად აანალიზებს ამ საზოგადოებრივი შებოჭილების გადაყირავებას. დღევანდელ შემზღუდველ-შემბოჭველ ნორმად იქცა ღირებულებათა არარსებობის აფიშირება და არა დაძალებული ღირებულება.: ყველას ჩაუჭედეს თავში რომ, მაგალითად, ჰომოსექსუალობა ნორმალური რამაა და არა გადაგვარება და ვეღარავინ ბედავს საწინააღმდეგო რამის თქმას. თქვეს რომ უადგილო ადგილას საჯაროდ ტიტველა სირბილიც და უწესობაც არის ინდივიდუალური თავისუფლების გამოხატულება და ამდენად წესიერებაა და არა უწესობა. დღევანდელ ბუნდოვან ტოტალიტარიზმში ერთმანეთს ებრძვიან პოლიტიკოსები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, ასოციაციები, უბრალოდ გართობის მოყვარულები. შუალედური ჯგუფების და პირველ რიგში ოჯახის დაპროგრამებული გაქრობა ინდივიდს ტოვებს სიცარიელის, უარესი, სამყაროს დამახინჯებული სურათის მაჩვენებელი, მისი გამომადებილებელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა პირისპირ. სიცარიელის ღრიალი შეუძლებელს ხდის ადამიანობის გამოხატვას. შანტა დელსო გვეუბნება რომ ტოტალური ემანსიპაციის იდეოლოგიის შემოსევამ გააქრო კეთილგონიერება და აუცილებელია დაკვირვება, ნების და გონების მოკრება. ისტორიული და ტრადიციული სამყაროს სიძულვილის ერთ-ერთი პოპულარული და ლამის მოდური ფორმაა პოსტჰუმანიზმი. უფრო სწრაფი, უფრო ძლიერი, კვდება ბევრად უფრო მეტი მოხუცი. ის ფეხებს გამოიცვლის როგორც წინდებს, გულს გამოიცვლის როგორც იცვლის პერანგს, მეხსიერებას გამოიცვლის როგორც პიჯაკს. ასეთები შეიძლება იყოთ თქვენ, ასეთები შეიძლება ვიყოთ ჩვენ. პოსტჰუმანიზმი გაგვზრდის და გაგვაძლიერებს, ჩვენს სხეულებს გამოაქანდაკებს და გააუმჯობესებს ბიოტექნოლოგიებით და ნანოტექნოლოგიებით. გილგამეშიდან ჰოლემის მითამდე და ოლიმპოს ღმერთების ამბროსიამდე თუ ჰომუნკულუსამდე ადამიანები ოცნებობდნენ უკვდავებაზე და ყოვლის შემძლეობაზე და პოსტჰუმანიზმი გვპირდება ამას. საერთაშორისო მოძრაობად ქცეული პოსტჰუმანიზმი მიზნად ისახავს ადამიანის არსის და არსებობის არნახულად და წარმოუდგენლად გაუმჯობესებას. ყველაფერ ამას გვპირდება კალიფორნიაში დაწყებული მესამე ტექნოლოგიური რევოლუცია. დაზიანებულ და ავადმყოფ ნაკვთებს და ორგანოებს ცვლიან ხელოვნური და ბიონიკური ნაკვთებით და ორგანოებით. იმპლანტებით და ასე შემდეგ. ხდება ადამიანის თანდათანობითი რობოტიზაცია. უახლესი ტექნოლოგია გვპირდება ფიზიკური ტკივილების და ფსიქიური ტანჯვის, მავნე ჩვევების, დეპრესიის გაქრობას. გაძლიერებულ ნახევრადრობოტ ჰუმანოიდად გადაქცეული ადამიანის მკვეთრად გაძლიერებული ტვინი დემატერიალიზებული იქნება. პოსტჰუმანისტები უკვე მიზნად ისახავენ უახლესი ტექნოლოგიებით სიკვდილის დამარცხებას და უკვდავების მიღწევას. ვინ არის ღმერთიო და პოსტჰუმანისტები აცხადებენ რომ თვითონ ადამიანია ღმერთი და ის გამოძერწავს საკუთარ თავს როგორც ღმერთი ღმერთს. მოკლედ მდიდრები გადაიქცევიან ტექნოლოგიზებულ უჟანგავ ზეძლიერ ბიორობოტ ჰუმანოიდებად და ნორმალურ ადამიანებს შეხედავენ ისე როგორც დღევანდელი კრეტინები უყურებენ გორილას და მაკაკას... მეოცე საუკუნე ააოხრეს მსოფლიოს გარდაქმნის მსურველმა ტოტალიტარიზმებმა. მაგრამ მათ დაამახინჯეს მსოფლიო. ეს იყო მათი მიღწევა. მაგრამ შევცდებით თუ ვიფიქრებთ რომ ტოტალიტარული ილუზიები გაქრა ვინაიდან ჩვენ უარვყავით ტოლიტარიზმი როგორც ტერორი და ამავე დროს გავაგრძელეთ მსოფლიოს გარდაქმნა. დღეს ერთმანეთს ეკამათებიან და ებრძვიან ისინი ვისაც უნდათ ამ, ჩვენთვის ჩვეული სამყაროს შეცვლა მათი აზრით უკეთესი რამით და ისინი ვისაც სურთ ამ, ჩვენთვის ჩვეული სამყაროს შენარჩუნება და დაცვა (ლაპარაკია სამყაროზე და არა კონკრეტულ პოლიტიკურ რეჟიმზე). შანტა დელსოს აზრით პოსტმოდერნული დასავლეთის ნაწილი ატანილია რევოლუციური ჟინით, მას სწამს რადიკალური უტოპიისა და ტოტალური იმანსიპაციის სახელით ეწევა ჯვაროსნულ ომს სამყაროს რეალობის წინააღმდეგ. ფილოსოფოსმა ასე განსაზღვრა გვიანი თანამედროვეობის ანუ დღევანდელობის პროექტი: ერთგვარი განმანთავისუფლებელ-ემანსიპატორული ისევ ბარბაროსული დემიურგია 1793 წლის და კომუნიზმის კვალზე რომელიც მოქმედებს არა ტერორით არამედ ყველაფერი არსებულის მასხრად აგდებით, ცინიზმით და რომელიც გამოხატავს ინდივიდუალურ ჟინს და არა სახელმწიფო ინსტანციების ნებას. კომუნიზმის და ნაციზმის მაგივრად გამოჩნდა ახალი იდეოლოგია, ემანსიპაციის იდეოლოგია. არადა ემანსიპაცია მუდამ იყო ადამიანურის ზრდის პროცესი და უნდა დარჩენილიყო ადამიანურის ზრდის პროცესად. ჩვენი დრო ცდილობს განმანათლებელთა ემანსიპაციის რეალიზაციას, სპობს ყოველგვარ ფესვს და ფესვგადგმას, არსებულ ტრადიციულ გარემოს და ქმნის ისეთ საზოგადოებებს რომლებზეც ოცნებობდნენ კომუნისტები. დასავლეთის ქვეყნები სხვადასხვა ხარისხით ახორციელებენ პროექტს რომელიც ძალიან გავს მარქსის პროექტს. დაგვადგნენ თავზე და გვაძალებენ სასწრაფოდ ემანსიპაციას თითქოს ვიყოთ გასაწვრთნელი ბავშვები ან რაღაც განსაკუთრებულად განათლებული დესპოტიზმის ქვეშევრდომები. შეხედეთ აბა რა ფანატიკური ჟინით დააძალა და შეტენა „გენდერი“ ყველა თავის ქვეყანას ევროპულმა ადმინისტრაციამ. ასეთ ვითარებებში ოპოზიციონერებს უყურებენ როგორც მტრებს იმიტომ რომ ემანსიპაციის აზრი გადაიქცა იდეოლოგიად მაშინ როდესაც ის მუდამ იყო ადამიანურის და ადამიანურობის ზრდის ფრთხილი და წინდახედული, ყოველგვარი შესაძლებელი ექსცესისთვის თავის არიდების მსურველი პროცესი და უნდა დარჩენილიყო სწორედ ასეთ პროცესად. ჩვენ ვართ ისტორიის იმ მომენტში როდესაც სწრაფვა ემანსიპაციისკენ უარყოფს ყველა შესაძლებელ საზღვარს, ყველანაირ აკრძალვას. ნათლად გამოჩნდა თუ რა გარყვნილებამდე შეიძლება მიიყვანოს კაცობრიობა ქედმაღალი და თავის თავში დარწმუნებული გაყოყოჩებული ადამიანის ინდივიდუალიზმმა და აბსოლუტურმა ბატონობამ.



ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

პოლიტიკური გაერთიანება „ქართული აგრძელებს მაჟორიტარობის კანდიდატების

„ქართულმა ოცნებამ რუსთავის მოსახლეობას მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ნინო ლაცაბიძე წარუდგინა

შეხვედრაზე პრემიერ-მინისტრმა **გიორგი გახარიამ** მსმენელებს მიმართა:

— რუსთავი არის ჩვენი ეკონომიკის სიძლიერისა და გაძლიერების ერთ-ერთი ფუნდამენტი. ეს არ მოიცავს მხოლოდ ეკონომიკას. რუსთავი ქვეყნის სიძლიერის ერთ-ერთი საფუძველია. დღეს, როდესაც ჩვენ რუსთაველ საზოგადოებას ვესაუბრებით, რა თქმა უნდა, უნდა გვახსოვდეს წარსულიც, უნდა ვისაუბროთ პრობლემებზეც და მომავალზეც.

ყველას კარგად გვესმის, რომ რუსთავი არის უმსხვილესი საწარმოების ადგილი. დღეს ქვეყანაში ყველაზე მეტი სამუშაო ადგილი იქმნება აქ. ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საფუძველი არის რუსთავი და რა თქმა უნდა, ჩვენ ეს ყველაფერი უნდა გავაგრძელოთ და გავაძლიეროთ, იმიტომ, რომ ჩვენ დღეს ჯერ კიდევ ღარიბ ქვეყანაში ვცხოვრობთ და თითოეულ სამუშაო ადგილს ქვეყნისთვის უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს. მაგრამ, ამასთან ერთად, არ უნდა დაგვავიწყდეს და უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენ ქვეყანამ განვითარების ისეთ დონეს მივაღწიეთ,

რომ სამუშაო ადგილი ნებისმიერ ფასად უკვე აღარ უნდა გვაკმაყოფილებდეს. ყველამ კარგად ვიცით, რა დონის ეკოლოგიური პრობლემებია რუსთავში. როდესაც ვსაუბრობთ საწარმოების, ბიზნესის, ინდუსტრიების მხარდაჭერაზე, სამუშაო ადგილების შექმნაზე, ამავდროულად, უკვე უნდა ვიზრუნოთ ქვეყნის ეკოლოგიაზე. ამიტომ, რუსთაველების აბსოლუტურად სამართლიანი გაბრაზება იმასთან დაკავშირებით, რომ ქალაქის ეკოლოგია არის მისახედი, ჩვენი მხრიდან აბსოლუტურად სერიოზულად იყო აღქმული. უახლოეს პერიოდში რუსთავს ექნება ჰაერის სისუფთავის მართვის გეგმა. ასეთი გეგმა დღეს მხოლოდ და მხოლოდ თბილისს აქვს. სწორედ ამიტომ იყო მთავრობის მიერ ინიცირებული და დღეს უკვე პარლამენტშია კანონ-პროექტი, რომელიც, დარწმუნებული ვარ, საშემოდგომო სესიაზე სწრაფად დამტკიცდება, რაც ჩვენ გვაძლევს საკანონმდებლო საფუძველს, რომ იმ კომპანიებს, რომლებიც არაკეთილსინდისიერად იქცევიან, კანონიერად მოვთხოვოთ ეკოლოგიური ნორმების დაცვა. რაც აქამდე ხდებოდა, მარტივია. უბრალოდ, კომპანიებისთვის უფრო მომგებიანი იყო ამ მცირე ჯარიმების გადახდა და არავინ არ ფიქრობდა სისტემურად, ეკოლოგიურად, გარემოზე ზიანის შემსუბუქებაზე. ის საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც ახლა განხორციელდება, იქნება უმკაცრესი, დაწესდება სერიოზული ჯარიმები, რისი ძირითადი პრინციპიც იქნება აბსოლუტურად ევროპული მიდგომა – ბუნებისთვის, ჰაერისთვის, ეკოლოგიისთვის მიყენებული ზიანი გამოიწვევს პირდაპირ დამზიანებლის მაქსიმალურად ეფექტურად და სწრაფად დასჯას. ეს ის პირობები და ფუნდამენტია, სადაც გპირდებით, რომ კომპრომისს არ დავუშვებთ.

ჩვენი გუნდის ძირითადი მიზანი იყო და იქნება ადამიანზე ზრუნვა. კიდევ ერთხელ ვამბობ, არ გვჭირდება სამუშაო ადგილები ნებისმიერ ფასად, ადამიანის, ჩვენი მოქალაქეების და ეკოლოგიის ფასად. ამიტომ, ეს უნდა იყოს საერთო კონსენსუსი ყველასთვის და კომპანიებმა, რომლებიც, რა თქმა უნდა, დოვლათს, სამუშაო ადგილებს ქმნიან, გარემოზე ზემოქმედების უმაღლესი სტანდარტების დანერგვა და გათვალისწინება უნდა დაიწყონ.

რა თქმა უნდა, სახელმწიფო ვალდებულია, შეუქმნას თანაბარი პირობები ყველას იმისთვის, რომ ვიშრომოთ, ვიყოთ ეფექტურები, გვქონდეს თვითრეალიზების შესაძლებლობა და ღირსეულად ვარჩინოთ ჩვენი ოჯახები. ეს არის ის ძირითადი ფუნდამენტური პრინციპები, რაზეც აქამდეც ვზრუნავდით და რაც უნდა გავაგრძელოთ. ეს არის ის, რის ირგვლივაც ჩვენ კიდევ წლების განმავლობაში მოგვიწევს ტრიალი, მაგრამ, რა თქმა უნდა, არის ისეთი მიმართულებები, რომელიც ასევე კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ეს არის სოფლის მეურნეობა, საინვესტიციო გარემო, ქვეყნის ინფრასტრუქტურა, რომელსაც წლები დასჭირდება, რომ ნორმალურ ევროპულ მდგომარეობამდე მივიყვანოთ. გზები, წყალმომარაგება, რომელიც დღეს მთელი ქვეყნის მასშტაბით უაღრესად დიდი პრობლემაა, რუსთავშიც მათ შორის. აქ ინფრასტრუქტურული პროექტების რაოდენობა და მათი ფინანსური მოცულობა რა თქმა უნდა, გაიზრდება.

რუსთავში უახლოეს პერიოდში დასრულდება 25-ე და 26-ე სკოლების სრული რეაბილიტაცია, საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია. უამრავია საშრომი ჯერ კიდევ, მაგრამ ძირითადი პრინციპია, რომ დაწყებულია ბევრი უაღრესად კარგი საქმე და ეს საქმეები ერთად უნდა დავასრულოთ.

დარწმუნებული ვარ, ნინო ლაცაბიძე იქნება რუსთავის საუკეთესო წარმომადგენელი ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოში, მარტივი მიზეზის გამო. ჯერ კიდევ საკრებულოში შრომობს და მუშაობს, მაგრამ უკვე რუსთავის ინფრასტრუქტურულ პროექტებში – სკვერების, ბაღების რეაბილიტაციის პროცესში, უკვე ჩართულია. იგი იქნება უაღრესად ეფექტური და დარწმუნებული ვარ, ჩვენ ყველა ერთად, რაც მთავარია სამართლიან ბრძოლაში გავიმარჯვებთ. გამარჯვებას გისურვებთ!

ნინო ლაცაბიძის სიტყვით გამოსვლა

მოგესალმებით! მოგესალმებით, ჩემო ძვირფასო რუსთაველებო, ძვირფასო სტუმრებო! ჩემთვის ნამდვილად ძალიან დიდი პატივია, დღეს ვიდგე აქ, ჩემს ქალაქში, სადაც დავიბადე და გავიზარდე – სადაც ჩემი ოჯახი, ახლობლების და მეგობრების უდიდესი ნაწილი ცხოვრობს. ქალაქი, სადაც ჩემი ცხოვრების საუკეთესო პერიოდი გავატარე და ალბათ, ამიტომაც არის, რომ პატივთან ერთად ეს არის ჩემთვის ძალიან დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა, როგორც გუნდის, ასევე თითოეული თქვენგანის წინაშე.

როგორც რიგითი რუსთაველი, რა თქმა უნდა, კარგად ვიცნობ იმ პრობლემებს, რაც დღეს არის რუსთავში, იმ გამოწვევებს და მე დარწმუნებული ვარ, სწორედ თქვენთან ერთად, ჩემს გუნდთან ერთად ყველაფერს გავაკეთებთ, რომ რუსთავის განვითარება გახდეს კიდევ უფრო შეუქცევადი პროცესი.

მე, რა თქმა უნდა, არ ვარ მხოლოდ რუსთავის მაჟორიტარობის კანდიდატი. რუსთავის საარჩევნო ოლქში შემოდის გარდაბნის 10 თემი და მე მინდა მივმართო მათ, რომ ისევე, როგორც რუსთაველებზე, მე ვიზრუნებ თითოეულ თქვენგანზე და ვიქნები თქვენ გვერდით. იმის მიუხედავად, რომ ჩვენს სოფლებში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა ბოლო წლების განმავლობაში, ეს ადამიანები კიდევ უფრო მეტ ყურადღებას საჭიროებენ.

მე გპირდებით, რომ ვიქნები თქვენი ღირსეული ხმა საქართველოს პარლამენტში. ხმა, რომელიც იქნება ყოველთვის გულწრფელი და რაც მთავარია, შედეგის მომტანი. ამიტომ ძალიან გთხოვთ ყველას – დავდგეთ ერთად ჩვენი ქვეყნის და ჩვენი რუსთავის წარმატებისთვის! ძალიან დიდი მადლობა!

ქართულმა ოცნებამ გურჯაანის მოსახლეობას მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი დავით სონღულაშვილის წარუდგინა

პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ ლიდერებმა გურჯაანის მოსახლეობას მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი დავით სონღულაშვილი წარუდგინეს წარდგენაზე სიტყვითგიორგი გახარიას გამოვიდა.

— მოგესალმებით კუთხეში, სადაც ბრძოლის ფასიც იციან, სითამამეც და სტუმარ-მასპინძლობაც. აუცილებლად უნდა დავიწყოთ იმით, რომ დღეს 28 წელი გავიდა მას შემდეგ რაც სოხუმში დაიწყო შეიარაღებული კონფლიქტი. საერთოდ, აგვისტო მძიმე თვე დაგვებედა ბოლო ათწლეულების განმავლობაში და ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ დღეს ჩვენი ქვეყანა არის ოკუპირებული. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს და ვიცოდეთ, რომ ეს ის პრობლემაა, რომელიც რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა გადავწყვიტოთ მშვიდობით, შრომით და იმით, რომ ავაშენებთ წარმატებულ ევროპულ სახელმწიფოს. ჩვენი დევნილები, რომლებიც თავის სამშობლოში ცხოვრობენ დევნილად, აუცილებლად უნდა დავაბრუნოთ სახლებში და ერთიან, გამთლიანებულ ქვეყანაში უნდა ვიცხოვროთ, მაგრამ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ჩვენი მიზანმიმართულობით, ერთიანობით, რა თქმა უნდა, ჩვენი შრომით და რაც ყველაზე მთავარია, მშვიდობიანად.

მე დარწმუნებული ვარ, რომ დავით სონღულაშვილი, როგორც ამ კუთხის ერთ-ერთი ყველაზე განათლებული, ამბიციური ადამიანი თავის რეგიონს წარმოადგენს პარლამენტში ღირსეულად და თქვენი ხმა ღირსეულად გაისმება საქართველოს პარლამენტში. წარმატებებს გისურვებთ და გამარჯვებას!

ირაკლი ღარიბაშვილის სიტყვით გამოსვლა

— მოგესალმებით ძვირფასო მეგობრებო! განსაკუთრებული მადლიერებით მოგესალმებით „ქართული ოცნების“ რიგით ჯარისკაცებს, თქვენ ყველას. მე მინდა მადლობა გადაგიხადოთ, პირველ რიგში, გვერდში დგომისთვის, თქვენი ერთგული მსახურებისთვის და რა თქმა უნდა, იმ თავგანწირვისთვის, რომელიც თქვენ გამოიჩინეთ 2012 წელს, მაშინ როცა ჩვენი პარტიის თავმ-

ოცნება – დემოკრატიული საქართველო“ წარდგენას საქართველოს რეგიონებში

ჯდომარის ბიძინა ივანიშვილის ლიდერობით ჩვენ ძალიან დიდი განსაცდელი ავარიდეთ ჩვენს ქვეყანასა და მოსახლეობას. დღეს, რა თქმა უნდა, არის მძიმე დღე, მე მინდა გამოვეხმაურო ბატონი პრემიერის ნათქვამს და კიდევ ერთხელ გავიხსენო აფხაზეთის ომში დაღუპული ათი ათასამდე ჩვენი თანამოქალაქე. 28 წელი გავიდა მას შემდეგ, ომი გაგრძელდა 13 თვესა და 13 დღეს და დასრულდა 1993 წლის 27 სექტემბერს, სოხუმის დაცემით. ეს მე შემთხვევით რა თქმა უნდა არ მიხსენებია, ვინაიდან ეს არის თითოეული ჩვენგანის ტკივილი, ტრაგედია და ეს არის გაკვეთილი, რაზეც ჩვენ ყველამ ერთად უნდა ვისწავლოთ და აღარ დავუშვათ არავითარი შეცდომა. საუბედუროდ 2008 წლის აგვისტოს მოვლენები ჩვენ კიდევ ერთხელ გვახსენებს, რომ ჩვენმა ყოფილმა უგუნურმა ხელისუფლებამ ვერ აარიდა ჩვენს მოსახლეობას ის უბედურება, ის ნგრევა და დესტაბილიზაცია, რომელიც გამოიწვია აგვისტოს ომმა. შედეგად ჩვენ მივიღეთ ასზე მეტი დაკარგული სოფელი, ამას გარდა კოდორი დავკარგეთ, დავკარგეთ ახალგორი და დამატებით მივიღეთ 10 ათასზე მეტი, დაახლოებით 25 ათასი დევნილი. ეს არის მწარე გაკვეთილი ძვირფასო მეგობრებო და რაოდენ გამაოგნებელია ის, რომ ასეთი მემკვიდრეობის დანატოვარი ხელისუფლება, ჩვენი ქვეყნის მთავარი დესტაბილიზაციის წყარო და მისი ხელმძღვანელი, ბელადი, ჯერ კიდევ საფრთხეს უქმნის და განსაცდელის წინაშე აყენებს ჩვენი ქვეყნის სტაბილურობას. მთავარი მონაპოვარი, რაც ჩვენმა ხელისუფლებამ და პირადად ბატონი ბიძინა ივანიშვილის მოსვლამ განაპირობა, ეს არის მშვიდობა, სტაბილურობა და თავისუფლება ჩვენი მოქალაქის. თითოეული მოქალაქის თავისუფლება მეგობრებო. ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ აფხაზეთის ომის შედეგად 300 ათასი ჩვენი მოქალაქე გახდა დევნილი. სულ რაღაც 10 წლის წინ, ყოფილმა ხელისუფლებამ 300 ათასი ჩვენი თანამოქალაქე გაასამართლა. როცა ჩვენ ვდგებით არჩევანის წინაშე, ჩვენ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, თუ რასთან გვაქვს საქმე. მე მჯერა, რომ ჩვენი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა, აბსოლუტურად საღად და პასუხისმგებლობით უყურებს ამ არჩევნებს. ჩვენ, რა თქმა უნდა, ღრმად ვართ დარწმუნებული გამარჯვებაში. ვინაიდან ალტერნატივა ჩვენს ხელისუფლებას და ჩვენს პარტიას ქვეყანაში არ აქვს. მე არ ვამბობ იმას, რომ ჩვენ ვართ იდეალურები. ბუნებრივია, ჩვენ მოგვდის შეცდომები, მაგრამ ჩვენ ამ შეცდომებს ვასწორებთ და წინ მივდივართ. ჩვენ გვაქვს ჩვენი შეცდომების დანახვის უნარიც, ამის აღიარების უნარიც და ამის გამოსწორების შესაძლებლობაც. ჩვენი გუნდი, პრემიერის ხელმძღვანელობით, ჩვენი მთლიანი „ქართული ოცნება“ მისი ლიდერის – ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით მე მჯერა, რომ ამ მთავარ მონაპოვარს თქვენთან ერთად კიდევ უფრო განამტკიცებს 2020 წლის ოქტომბრის არჩევნებში. ჩვენ გვჭირდება გრძელვადიანი მშვიდობა, სტაბილურობა და თავისუფლება. ეს არის ის მყარი ფუნდამენტი, რასაც უნდა დაეფუძნოს ჩვენი შემდგომი განვითარება, ძირითადი კეთილდღეობა ჩვენი მოსახლეობის. ჩვენ კარგად გვესმის, და პრემიერმაც აღნიშნა თავის გამოსვლაში, რომ ჩვენი მთავარი გამოწვევა არის ეკონომიკა, უმუშევრობა, სიღარიბე... რომელიც, რა თქმა უნდა, ჩვენს ხელისუფლებას არ მოუტანია. ჩვენი ოპონენტები, დესტრუქციული ძალა ყოველთვის აპელირებს იმით, რომ თითქოს ყველაფერი იყო იდეალურ ქვეყანაში და 2012 წლის შემდეგ ერთიანად დაინგრა ყველაფერი. ეს არის ის ნარატივი, ტყუილი და სიცრუე, რასაც ჩვენი ოპონენტები ავრცელებენ. 30 წლის განმავლობაში, მოდით ვაღიაროთ, ჩვენ თვითონ, ჩვენი ხელებით ვანგრევდით ჩვენს ეკონომიკას, ვუქმნიდით ჩვენს მოქალაქეებს უამრავ პრობლემას და სწორედ ამ უგუნური პოლიტიკის შედეგი არის ის, რამაც განაპირობა აგვისტოს ომის შემდგომ რაც მოხდა ქვეყანაში.

აქედან გამომდინარე, მე მინდა კიდევ ერთხელ მხარდაჭერა გამოვუცხადო ჩვენს ღირსეულ მაჟორიტარობის კანდიდატს, ბატონ დავით სონღულაშვილს, რომელიც არის გამორჩეული პარლამენტის წევრი, რომელიც გამოირჩევა თავისი ნიჭიერებით, კრეატიული იდეებით და მე მჯერა, რომ იგი საუკეთესოდ მოემსახურება ამ რეგიონის მოსახლეობას და თქვენს ინტერესებს დაიცავს საქართველოს პარლამენტში.

კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადაგიხადოთ მხარდაჭერისთვის, და გისურვოთ წარმატება და ერთად გამარჯვება!

დავით სონღულაშვილის სიტყვით გამოსვლა

ჩემო გურჯაანელებო,
ბატონებო და ქალბატონებო,
ბატონო პრემიერო,

ეს არის კუთხე და მუნიციპალიტეტი, რომლის მაჟორიტარობაც გასული 4 წლის განმავლობაში იყო და არის ჩემი სიამაყის არსი და დვრიტა.

ეს არის მუნიციპალიტეტი, სადაც ჩვენ, მოსახლეობასთან ერთად 2016 წელს შევქმენით დეპუტატის წინასაარჩევნო პროგრამა და განსხვავებული, მთლიანად მუნიციპალიტეტის, ცალკეულ სოფლებზე და თითოეული ოჯახის საჭიროებებზე მორგებული სტრატეგიული ხედვა და შემდეგ 4 წლის განმავლობაში ზედმიწევნით თანმიმდევრულად განვახორციელეთ ეს გეგმა.

გურჯაანი შეიცვალა, შეიცვალა სოფლები, შეიცვალა ინფრასტრუქტურა და, რაც მთავარია, შეიცვალა მიდგომები, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის, ასევე მოსახლეობის მხრიდანაც.

როდესაც ვამბობ, რომ გურჯაანი შეიცვალა, ვგულისხმობ, არა მარტო მენტალურ ცვლილებებს. მუნიციპალიტეტი, რომელსაც ფუნქცია დაკარგული ქონდა, ღირსეულად იბრუნებს თავის მოწინავეობას.

„ქართულმა ოცნებამ“, ჩვენმა ხელისუფლებამ ეს მოახერხა – აქ ყველამ კარგად იცის, რომ ნებისმიერ მოქალაქეს აქვს პერსპექტივა, აქ ბევრი ადამიანი გაცილებით იმედიანადაა განწყობილი, რადგან ხედავს, რომ ფართო შესაძლებლობები ფართო ასპარეზს აძლევს. ბევრი დაბრუნდა და ბევრი კიდევ დაბრუნდება გურჯაანში საქმიანობის გასაგრძელებლად. პროფესიული განათლების გაძლიერების, ღვინისა და კულინარიის ახალი კოლეჯების გახსნით, ჩვენ შევძლებთ ახალი უნარებით გავაძლიეროთ ყველა მსურველი.

განვლილი 4 წელი ჩემთვის და ჩვენი თანამოაზრეებისთვის იყო იმედისა და ღირსების მარში!

სახალხო მოძრაობის დასაწყისი უკეთესი გურჯაანისთვის!

თვითდაჯერებული და მომავლის იმედით აღსავსე გურჯაანელებისთვის!

დიახ, ჩვენი ხელისუფლება არის სიტყვის შემსრულებელი, სიტყვის საქმით შემსრულებელი ხელისუფლება!

დიახ, მე ვარ გურჯაანის დეპუტატი „ქართული ოცნებიდან“ დავით სონღულაშვილი და ვიცი სიტყვის ფასიც და სიტყვის საქმედ ქცევა!

დიახ, ჩვენ ერთად უკვე მივაღწიეთ გარკვეულ წარმატებას!

და დიახ, ჩვენ უფრო დიდ წარმატებას აუცილებლად ერთად მივაღწევთ!

დიდი მადლობა, ჩემ გურჯაანელებს!

„ქართულმა ოცნებამ ყვარლის მოსახლეობას მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ირაკლი ქადაგიშვილი წარუდგინა

პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ ლიდერებმა ყვარლის მოსახლეობას მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი, ირაკლი ქადაგიშვილი წარუდგინეს. წარდგენას პარტიის გენერალური მდივანი კახა კალაძე, პრემიერ-მინისტრი გიორგი გახარია, „ქართული ოცნების“ პოლიტიკური მდივანი, ირაკლი ღარიბაშვილი და სხვა ლიდერები ესწრებოდნენ.

ირაკლი ქადაგიშვილის სიტყვით გამოსვლა

დიდი მადლობა! მადლობა ყველას, რომ ამ კახურ, თაკარა მზეზე, რომელიც ყურძნის დამტული გადაწყვეტილებები მივიღეთ, მაგრამ როგორც იტყვიან, საქმე გასაკეთებელი და საზრუნავი საკმაოდ დაგვრჩა.

ამიტომ, როდესაც დღის წესრიგში დადგა ჩემი კანდიდატურის წარდგენა, მე მხოლოდ და მხოლოდ ამას განვიხილავ, როგორც უკვე ერთად გაკეთებული და განვლილი გზის გაგრძელებას. გზისა, რომელიც ემსახურება და მოემსახურება იმას, რომ თვითმმართველობა იყოს უფრო ძლიერი, უფრო აღჭურვილი იმ ინსტრუმენტებით, რომელიც მას მისცემს მეტ საშუალებას, უფრო ეფექტურად, სწრაფად, კონკრეტულად მოემსახუროს თავის მოქალაქეებს და მათ ინტერესებს, რეგიონული მმართველობა იყოს ისეთი ძლიერი, რომელიც საშუალებას მისცემს მას უფრო მეტი ინვესტიცია, უფრო მეტი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისთვის საჭირო პროექტები განახორციელოს რეგიონში, ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად, ყველა ის სიკეთე, რომელიც აქამდე მოტანილია, კიდევ უფრო გამრავლდეს, უფრო ხელმისაწვდომი და ხელშესახები გახდეს თითოეული ჩვენი თანამოქალაქისათვის.

მხოლოდ მდიდარ, განათლებულ, თავის თავში დარწმუნებულ, ღირსების მატარებელ ქვეყანას შეუძლია იამაყოს თავისი წარსულით, აწმყოთი, მომავლით და მხოლოდ ასეთი ქვეყანა აერთიანებს მომავალს, მთლიან საქართველოს.

მე დარწმუნებული ვარ, რომ წიფებას უწყობს ხელს, ასე შევიკრიბეთ! მე, ოთხი წლის წინ, როდესაც მქონდა შემოთავაზება, თბილისში გამეგრძელებინა ჩემი პოლიტიკური საქმიანობა, თუ წამოვსულიყავი კახეთში, მე უყოყმანოდ ავირჩიე აქ წამოსვლა, იმიტომ, რომ ეს ჩემთვის იყო გარკვეული გამოწვევა - მემსახურა ჩემი მშობლიური მხარისთვის, გამეკეთებინა ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმი.

მე დღეს ბედნიერი ვარ, რომ თქვენთან ერთად გატარებული 4 წელი იყო და არის ჩემს ცხოვრებაში საუკეთესო წლები. ბევრი გამოწვევა გვაქვს, ბევრ გამოწვევასთან დაკავშირებით კონკრეტული გადაწყვეტილებები მივიღეთ, მაგრამ როგორც იტყვიან, საქმე გასაკეთებელი და საზრუნავი საკმაოდ დაგვრჩა.

ეს სასახლე, ის მეფე, რომელიც აქ იყო, მაგალითი მთელი საქართველოსთვის თავმდაბლობისა, მსახურებისა, თავდაუზოგავი ღვაწლისა სამშობლოს წინაშე, რა თქმა უნდა, თითოეულ ჩვენთაგანს გაგვაერთიანებს და ჩვენ, „ქართული ოცნება“, ქართველ ხალხთან ერთად, გავიმარჯვებთ იმიტომ, რომ ერთად უნდა ვიყოთ საქართველოს წარმატებისათვის.

დიდი მადლობა იმ ნდობისთვის, რომელიც თქვენ ყველამ დღეს აქ მობრძანებით გამომიცხადეთ.

®

ხომ გეუბნებოდით, გაფრინდებიან-მეთქი?!

გამატარეთ, გამიშვით, არ დამიჭიროთ, ფეხი უნდა დავადგა პირდაპირ გულის ფიცარზე. ამ ახალი დროის აღმა მშენებლებს ყველა ლელოს და გამოლელოებულებს

პირველი, ვისაც მკერდზე უნდა დაადგა ფეხი გიორგი ვასაძეა — უდიდესი სტრატეგოსი, ვითარცა აღმაშენებელი დავითი. პრინციპში, სიტყვა „ვითარცა“ აქ საერთოდ აღარ არის საჭირო, ჯუნიორი უფრო მეტი შესაძლებლობების მქონე სტრატეგოსია, ვიდრე გახლდათ დავითი რვა საუკუნის წინათ.

დიახაც!

თუ გნებავთ, შევადაროთ: დავითი, თქვენ რომ აღმაშენებელს ეძახით, ჯორით მსტოვარს რომ გააგზავნიდა ნიკოფსიიდან დარუბანდში, წერილს რომ გაატანდა ვინმესთან, ლამის ერთი თვე უნდებოდა „ტუდა-აბრატნა“. ხშირად უკან მარტო ჯორი ბრუნდებოდა, მსტოვარი სადღაც იკარგებოდა. ამას კი, ამ თანამედროვე აღმაშენებელს ელვისებური სტრატეგია აქვს, რამდენიმე წამში აგზავნის „მესიჯს“ ნიკოფსიიდან დარუბანდამდე ვერა, მაგრამ ლაგოდეხიდან ბათუმამდე. განა ეს ცოტაა? თანაც რამდენიმე წამში-მეთქი, ხალხო, რამდენიმე წამში!

ჩვენში ძალიან ცოტანი არიან კაცნი, რომელნიც პრემიერის მძიმე ტვირთს წამოიკიდებენ. ჯუნიორს კი ამ ტვირთის წამოკიდებისა სულაც არ ეშინია, პირიქით, ის მთელი არსებით, მთელი აღტყინებითა და გულის რწფელობით აცხადებს, როგორც პრემიერ-მინისტრიო, მე ავაშენებ საქართველოსო. მერე და... რა არის ამაში ცუდი, თქვე ოხრებო, იქნებ როგორ უნდა ამ ადამიანს აღმაშენებლობა?!

გეუბნებით, გამატარეთ, გამიშვით, არ დამიჭიროთ, პირდაპირ გულის ფიცარზე უნდა დავადგა ფეხი!

სხვათა შორის, თქვენც შეგიძლიათ, დაადგათ, მან უკვე თქვა, ოღონდ პრემიერ-მინისტრად დამნიშნეთ და ფეხი დამადგით, სადაც გინდათ, ყოველმანო.

ახლა ისეც ნუ იზამთ, მართლა ყველგან დაადგათ, ეცადეთ, წელს ზემოთ შესდგეთ წიხლებით, ამ რეგვენსა!

პოეტი ლაშა გვასალია როა, იცით, ხო? აი, მაგას უთხრა თურმე გურამ ეფენიამ ჯოყლივირო უგულავას ერთ-ერთი „საგმირო“ საქმის შესახებ:

„ვაა, ეს რა გავიგე, კაცოოო, ჯოყლივირო უგულავას, „ნაცების“ ზეობის ჟამს, გუბერნატორი რომ იყო, ზუგდიდში პნევმატური იარაღით („გეკოთი“) მოუკლავს გურამ ეფენიას ერთადერთი, მრავალშვილიანი ოჯახის მარჩენალი მეწველი ძროხა და როგორც თავად უბრძანებია, „მხეცებისთვის“ მიუგდია. ეს „მხეცები“ კი, ჩვენი ჯარისკაცები, მესაზღვრეები ყოფილან! აი, ვისთანა გვქონდა და გვაქვს საქმე! თავად ბატონი გურამი მომიყვა ამ ამბავს!.. ჭიტლაყი მაგ ჯოყლივირო წუნწუხსა, მაგასა“!

აბა, ეხლა მითხარით, არ უნდა ამ ჯოყლივირო უგულავას წიხლი გულის ფიცარზე და ერთი კაი ჭიტლაყასუნი ტრაკში?!

რა საკვირველია, უნდა!

როგორც სამეგრელოდან მაცნობეს, როცა „ღუბერნატორობდა“, ზუგდიდის ბაზარიც დაუნგრევია, მისდგომია „ბულდოზერით“ და გადაუვლ-გადმოუვლია. ეხლა კიდე ჩავიდა სამეგრელოს დედაქალაქში და აცხადებს, კენჭი უნდა ვიყაროო, დეპუტატად, ანუ დავით აღმაშენებლად ამირჩიეთო, ბიძინამ ქვეყანა დაღუპა, ჩამოშალა, მე უნდა ავაშენოო.

მინდოდა მეთქვა, ენის წვერზე მედგა, გამიშვით, არ დამიჭიროთ, არ გამთოკოთ, 50 მილიონის ქურდ უგულავას წიხლით უნდა შევდგე გულის ფიცარზე კი არა, სქელ ტრაკზე-მეთქი, მაგრამ გადავიფიქრე რამდენიმე მიზეზის გამო: პირველი, ძალიან მეზარება ამ პაპანაქებაში ზუგდიდის ცენტრში ჩასვლა... სიმართლე გითხრათ, არც ღირს ამ ჯოყლივირას გულისთვის თავის შეწუხება; მეორე — დარწმუნებული ვარ, მაგას მეგრელები ისე მიხედავენ, ისე კოხტად გამოაბუნძულებენ ზუგდიდიდან, როგორც დაგიბარებიათ, ჩემი დახმარება საერთოდ არ არის საჭირო!

ხომ გითხარით რამდენიმე წუთის წინ, ჩვენში ძალიან ცოტანი არიან კაცნი, რომელნიც პრემიერის მძიმე ტვირთს წამოიკიდებენ, თავს გასწირავენ-მეთქი? დიახ, სწორედაც რომ ასე გითხარით, მაგრამ თურმე ვცდებოდი — აგერ, ჩვენს თვალწინ დაიბადა კიდევ ერთი აღმაშენებელი. მეტიც, ამ ადამიანს თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ „აღმამფრენი“. მიხვდით, ხომ? თამაზ გაიაშვილზე მოგახსენებთ, „ფიფრინავების“ კომპანია „აირზენას“ უმფროსზე, რომელიც მამუკა ხაზარაძის „ლელოში“ გაწევრიანდა და იქიდან აპირებს ქვეყნის აშენებას. ნახეთ, როგორი „თავმდაბალია“ ბატონი გაიაშვილი:

„საკმაოდ მძიმე იყო ღღევანდელი ჩემი გადაწყვეტილება, პოლიტიკაში ჩართვა არ არის ადვილი საქმე. თუმცა, მე დავკარგე იმედი, რომელიც 2012 წელს გამიჩნდა ამ მთავრობის მიმართ. ღღეს დადგა ის დრო, როდესაც ყველანი ჩვენი შვილების მომავალზე ვართ ორიენტირებული და გვინდა, მათ ბედნიერი საქართველო დავუტოვოთ, სწორედ ამ მიზნისთვის ვწევრიანდებით ერთად და ვართ „ლელოში“.

უუუხ, შენ გენაცვალე, ბიძიაბაბუა, ხომ გეუბნებოდით, ამხანაგებო, ესენი აუცილებლად გაფრინდებიან-მეთქი?!

ძალიან მძიმე იყოო... პოლიტიკაში ჩართვა არ არი იოლიო... მაგრამაო, რა უნდა მექნაო? 2012 წელს იმდეი რო გამიჩნდა, დავკარგეო. ჰოდა, ეხლა ნახავთ თქვენაო, მე და მამუკა ბედნიერ საქართველოს ავაშენებთ და მომავალ თაობას დავუტოვებთო.

აი, ახლა კი ნამდვილად ვეღარ გამაკავებთ, გამიშვით, გამატარეთ, გულის ფიცარზე ფეხი ინდა დავადგა თამაზ აღმამფრენ-აღმაშენებელსა!

მოიცადეთ... თქვენ მეუბნებით, რომ მე ტყუილად ვარ აღფრთოვანებული? ვერ იზამენ თამაზი და მამუკა მაი საქმეს? ისა და... ბატონი ბადრიც რომ წავაშველოთ, ჯაფარიძე, საბურთალოს მხრიდან, მაინც ვერა?

აბა, რას ლაპარაკობთ? კაცი იმხელა „ფიფრინავებს“ აფრენს ცაში და როგორ, ერთი ციცქნა ქვეყანას ვერ ააფრენს? ნუ ხართ ურწმუნოები, მეათასეჯერ გეუბნებით, გააფრენს და ძალიან მაგრადაც, მაგრამ თუ სადმე ჩაიფეხვა, ხელებიც დამიბანია!

აი, კიდევ ერთი აღმაშენებელი ფილოსოფიური გაგებით, რომელსაც დიდი სიამოვნებით დავადგამდი გულის ფიცარზე ფეხსა. კიკეთელ ლევან ვასაძეს ვიდეო-მიმართვა ჩაუწერია და გამოუქვეყნებია. ბიძინა ივანიშვილს მიმართავს, სხვას ვის იკადრებს? ისაო, ბიძინ, ეხლა კარგად მისმინე, საქართველოში მშობლებს უტრაკებენ, შვილებს ართმევენ, რუსეთშიც ეგრე ხდებაო, მიჰყავთ და ჰომოსექსუალებს აძლევენო... ბიძინ, გაიგონეო? ჰო, ზუსტად ასე მიმართავს, როგორც ტოლი ტოლს და როგორც სწორი სწორს. ამით ხაზს უსვამს, მეც აღმაშენებელი ვარ და ამიტომაც შემიძლია, ასე მოგმართოო. თან ისე აქვს ხმა და ჰაბიტუსი დაყენებული, აღმაშენებლისგან ვერ გაარჩევთ — დინჯი, ეროვნული, კონსერვატორული, ანტიკური. მართალია, მისი ნალაპარაკებიდან ბევრს ვერაფერს გაიგებთ (მეც ვერაფერი გავიგე), მაგრამ აუცილებლად შეგექმნებათ შთაბეჭდილება, რომ საქმე გაქვთ მე-12 საუკუნის მოღვაწესთან, რომელიც ყველას ზემოდან დაჰყურებს, ბიძინასაც კი. ბიძინ, ეგრე არ არი, შენ რო გგონია, აზრზე მოდი, ხიდზე გადი, კოჭი გააგორეო... თუ გინდა, მუდმივ მმართველად დარჩე, გამოდი შუშის სასახლიდან და ხალხს დაეხმა-

12 ბ3.

უპატრონოდ დარჩენილი ადამიანები უპატრონო ძაღლებისა და მათი ქომაგი ადამიანთმოძულე „ჰუმანისტების“ პირისპირ

„საერთო გაზეთის“ №21-ში დაიბეჭდა სტატია სათაურით „იქნებ ვინმემ დაარისხოს ზარები, სანამ უპატრონოდ დარჩენილი ადამიანები უპატრონო ძაღლებს არ დაუჭამიათ“, რომელიც მოშზადდა სოციალური ქსელით გავრცელებულ საზოგადოების წარმომადგენელთა კომენტარებზე დაყრდნობით. სხვათა შორის, არცერთ მათგანს ვინაობა არ დაუმალავს იმ ე.წ. ცხოველთა დამცველ „ჰუმანისტთაგან“ განსხვავებით, რომელთაც ლანძღვა-გინებისა და მუქარის ნიაღვარი დაგვატეხეს, როგორც გაზეთსა და მის ჟურნალისტს, ისე მის რეპონდენტს, მრავალშვილიან დედას, პოეტ ლია რუსიაშვილს. ფეისბუქმომხმარებლები საუბრობდნენ იმ გაუსაძლის მდგომარეობაზე, რაც შექმნილია სოფლად თუ ქალაქად აგრესიული მაწანწალა ძაღლებისგან, რომ რიგები დგას სამედიცინო დაწესებულებებთან მათგან დაკბენილი ადამიანების, რათა ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაცია ჩაიტარონ. ცნობისთვის, თუ ეს აცრა შევარდნაძის მმართველობის დროს უფასო იყო, „დემოკრატმა“ ნაციონალებმა „გვარიანი“ ტაქსა დაადეს – 90 თუ 95 ლარი, რაც მოქმედ ხელისუფლებასაც ძალაში დაუტოვებია. ყველა ეს ფეისბუქმომხმარებელი (ასეთი კი უამრავია), ხელისუფლებისგან ითხოვს მოეწყოს ამ უმეთვალყურეო ცხოველთა თავშესაფრები, სადაც გადაიყვანენ ამ ცხოველებს, იქ მოხდება მათი მოვლა-პატრონობა და პოპულაციის მართვა. რომ ეს ძალიან კარგი იქნება, როგორც ადამიანების, ისე ცხოველების უსაფრთხოებისთვის. სხვათა შორის, 2018 წელს მიღებულ კანონშიც „ცხოველთა კეთილდღეობის შესახებ“, რომელიც დიდად ვერ დაიკვეხნის ადექვატურობით, მითითებულია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (მუნიციპალიტეტები) ვალდებულნი არიან ზემოხსენებულზე იზრუნონ. რაც შეეხება მის ადექვატურობაზე პრეტენზიას, რატომღაც კანონპროექტის მომმზადებლებსა და მის მიმღებ კანონმდებლებისთვის ადამიანების ინტერესები, სადღაც მეათე პლანზეა. საქმე იმაშია, რომ ჩინოვნიკები ამ ხეიბარი კანონის შესრულებაზეც არ იწუხებენ თავს.

მცხეთის „არჩეული“ მერი გიორგი კაპანაძე თუ ცხოველთა დამცველ არასამთავრობოებს ყავთ „დაშინებული“, ვიდეოკამერებით დაგვდევენ, რომ მაწანწალა აგრესიულ ცხოველებს (რომლებიც ბავშვებსაც კი არ ინდობენ და ჯგუფურად ესხმიან თავს) არაფერი ვაწყენინოთო და მთავრობის გადაწყვეტილებას ელოდება, როდის ააშენებენ ამგვარ თავშესაფარს, მუნიციპალიტეტების სხვა წარმომადგენლებს სხვა მიზეზი აქვთ.

ე.წ. ცხოველთა დამცველთა ნაწილი, რომელიც არც ვინაობას ამხელს და არც იმ ორგანიზაციის სახელს, რომელსაც წარმოადგენს, განსაკუთრებით იმ განცხადებებმა გააღიზიანა, რომ ჩინოვნიკები გრანტიჭამია „ენჯეოშნიკების“ აზრს უფრო ითვალისწინებენ, ვიდრე დანარჩენი საზოგადოების, თავად რას აკეთებენ კონკრეტულს ცხოველთა დასაცავად, გარდა განხვავებული აზრის მქონეთა ლანძღვისა, რატომ არიან წინააღმდეგნი მოეწყოს თავშესაფრები, რამდენი ცხოველთა დამცველი ორგანიზაციაა, ვინ აფინანსებს და მიზანმიმართულად იხარჯება თუ არა ეს თანხები. მსურველს თავადაც შეუძლია იხილოს „საერთო გაზეთის“ ფეისბუქგვერდზე ამ „პატივცემული“ და „ჰუმანისტი“ საზოგადოების კომენტარები, მაგრამ ყველას ხომ არ აქვს ინტერნეტთან წვდომა, რომ გაიგოს ბინ გვიპირისპირდება. ჩვენი მხრიდან გეტყვით, რომ ამ კომენტარებისას, რაც პირველი თვალში გხვდება ისაა, რომ ამ „საზოგადოებას“ ან საერთოდ არ წაუკითხავს ზემოხსენებული სტატია და ფეხის ხმას აყოლილი ილანძღება, ბევრი თავადვე აღიარებს, ამხელა სტატიას რა წამაკითხებსო, ან წაკითხულიდან აზრი ვერ გამოაქვს, ანდა მის ინტერესშია, რომ თითქოს ვერ გაარკვია რაზე ვსაუბრობთ. ამ ე.წ. ცხოველთა მოყვარულების ზოგიერთ კომენტარში იმხელა სიძულვილია ადამიანების მიმართ გამოხატული, შეგზარავთ, თურმე მათთვის არმოსაწონი ადამიანებისგან უნდა „გაიწმინდოს“ ქვეყანა, ესენი უნდა „გასტერილდნენ“ და ა.შ. არ დაგავიწყდეთ, ამის დამწერთა ლამის აბსოლუტური უმრავლესობა ქალია. მერე კიდევ გვიკვირს, რაც ხდება

საქართველოში, ახალგაზრდობა დაუნდობლად რომ უსწორდება ერთმანეთს და სიცოცხლის ხელყოფასაც არ თაკილობს. ზოგიერთ ასეთ „კაცთმოყვარის“ კომენტარი ამ ეტაპზე გამქრალია, მაგრამ არა უშავს, ყველაფერი დაკოპირებული და შენახული გვაქვს. აქ შემოგთავაზებთ, ორი ყველაზე აქტიური ინცოგნიტო-„ჰუმანისტის“ კომენტარების მხოლოდ მცირე ნაწილს, ამ ჩიქორთული ქართულით „მოდებატე“ პერსონებისთვის თურმე ჩემი განათლება, ზრდილობა და პროფესიონალიზმი დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, ესენიც იმ კატეგორიას განეკუთვნებიან, რომლებმაც თურმე აზრი ვერ გამოიტანეს რას ვწერთ ...ეს ავტორია? ეტყობა, რომ ადამიანი არც ჟურნალისტია და არც სიკეთით გამოირჩევა. დამღალა ამ განუვიტარებელმა ხალხმა, ასე მგონია, ქვეყანას სიდებილე ჰქვია (ეს ამათი „ორიგინალი“ კომენტარებია, სპეციალურად არ ჩავსვით სასვენი ნიშნები, რომ მათ მართლწერაში „განსწავლულობაზე“ წარმოდგენა შეგექმნათ – მ.ს.), ...მაყუთს ჭრიან და მეც მინდაო? ბოლო წლებია დამღალა იდიოტების სექტამ. არადა ხანგრძლივი „დებატების“ შემდეგ, ისე დამემშვიდობა, მაინც არ გამიმხილა ვინაობა, ამ ზრდილობის „ეტალონმა“, თავისი სიტყვებით დიდგვარივანმა. ...თქვენ რომ ტვინი გქონდეთ კი მიხვდებოდით ვის ესაუბრებოდით და გაჩუმდებოდით სამუდამოდ. ჩემს საგვარეულოს ფულს თქვენნაირი ჯიბეგახვრეტილი ვერ მოთვლის. თქვენისთანა მოახლედ არ მყოლია არასოდეს.

ამ „დიდგვაროვანს“ ალბათ ჰგონია, მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში ვცხოვრობთ. ამ „გაქანება“-ლექსიკის პატრონი, ჩემსა და ქალბატონ ლია რუსიაშვილის ფსიქიურ მდგომარეობას „იკვლევს“. მისი შემდგომი „მარგალიტები“; ამის (ანუ ჩემი) მიზანი ფული ყოფილა, ყველა მათხოვრის დაზეპირებული ფრაზა! ფულზე დახამებული მუდამ მათხოვარია! ...მაგარი ჟურნალიუგაა, არც იცის მე ვინ ვარ... თქვენი საცოდავი ბლოგი დაიხურება, ამაში მე დაგეხმარებით... საქართველოს მთავრობას ვთხოვ გრანტებზე, რომ თქვენ ჩაგრთონ პროგრამაში აუცილებლად, თქვენისთანა ტვინები კარგად უნდა ვკვებოთ, ოხუნჯობს ჩვენი „დიდგვაროვანი“. „დეიდებო“, „ბიძიებო“, ღმერთი არ გწამთ?! დამეხმარეთ, გამაგებინეთ ვინ არის ეს „მეფისტოლა“ პერსონა, რომელსაც იმხელა „გავლენა“ აქვს, რომ მთავრობას გრანტებს ანაწილებინებს და ხოლო სხვა „სათანადოებს“ ბლოგებსაც აბურინებს, მე „მდაბიო“ ჟურნალიუგა კი არ ვიცნობ, თავად კი ცოცხალი თავით არ ამხელს ვინაობას. სხვათა შორის, ერთი ჩვენი მუდმივი მკითხველი, რომელმაც ამ „დიდგვაროვნისგან“ განსხვავებული აზრი დააფიქსირა, ინკოგნიტომ „გააფრთხილა“, შენი დოსიეები მაგიდაზე მიდევს, ცუნცულო... სულო ცოდვილო, რაღაც ძალზე მეცნო ამ „დიდგვაროვანში“, „გამომძიებელ-ჟურნალისტის“ ლექსიკა. ამ „დიდგვაროვანის“ მეწყვილე, შედარებით „ნორჩი“ ინკოგნიტო ძაღლთმოყვარული „ჰუმანისტიც“ არ ჩამორჩა „ტკბილსიტყვაობაში“, როცა „ენჯეოშნიკების“ დაფინანსებას შეეხეთ – უზრდელი, გაუნათლებელი, დებილი და ტლუ ქალბატონი ხარ და პირდაპირ გეტყვი რა შენი საქმეა რამდენი ორგანიზაციაა და ვინ რითი ფინანსდება, მით უმეტეს ჩვენზე რო იძახი. როგორ არმინდა გარბოდეთ და მოგდევდეთ რითაც გინდათ იმით დაინტერესდით. სხვათა შორის, არც ეს ამხელს ვინაობას და მუქარაზეც გადმოდის – ნორმალურად ილაპარაკე, თორემ თქვენნაირი ჟურნალისტი იცით სადაც ამოყოფს თავს, რომ იჯერა, ახლა მუქარაზე გადმოვიდა, პირველ რიგში ქარტიის განხილვის საგანი გახდებით. სადაც მინდა იქ გიჩივლებთ. იმდენად გაუნათლებელი ბრძანდებით, თავშესაფარიო გაიძახით და როგორც „არ უნდა გაიხიოთ“, მაინც არ გააკეთებენ თავშესაფარს. მაგას ჰქვია პოპულაციის მართვის ცენტრი. ფრთხილად იყავი ძალიან არ „ათამაშო“ ერთი ადგილი და მართლა არ გარბენინო სადაც საჭიროა. ...ელიზბარაშვილზე მაინც ნუ იხუმრებთ, ცუდად არ დაგიმთავრდეთო, თუმცა მერე შეცვალა „ფირფიტა“, ელიზბარაშვილი თქვენ შემოიტანეთ საუბარში, თორე მე არავის დახმარება არ მჭირდებაო... ამ „ნორჩისთვის“ განათლებად ის ითვლება, თუ ამ ობიექტის ახალი სახელი იცის და კონტინგენტს ერთ ასოს არ დააკლებს, მაგრამ მე ის უფრო მაინტერესებს, რატომ იკლავს ეს „კონტინგენტი“ თავს, ქუჩებს არ მოაცილოთ მაწანწალა აგრესიული ცხოველები და არ შეიყვანოთ თუნდაც მაგ „ცენტრშიო“. ან ვისგან აქვთ მიღებული დაპირება, ვგულისმობ ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ რამდენიც „არ უნდა გავიხიო“, მაინც არ მოაწყობენ თავშესაფრებს. აი, „დიდგვაროვანმა“ კი, რომლისთვისაც უწიგნური, ჟურნალისტობადაბრალებული „მდაბიო“ ვიყავი, იმის შემდეგ, რაც დავპოსტე, რომ ამ აგრესიული სექტის კომენტარებს იურისტებს გავაცნობდი და შემდგომ სტატიაშიც გამოვიყენებდი, მამცნო, ჩვენი კომენტარებით გაპიარების უფლება, რომ არ გაქვთ ამდენი უნდა იცოდეს თქვენი დონის ჟურნალისტმაო. აი, აქ კი ვეღარ ჩავწვდი, ამ დიდგვაროვნობაზე პრეტენზიის მქონე „მაღალინტელექტუალის“ აზრის სიღრმეს.

ალბათ ამხელა დროს არ დავუთმობდით, ე.წ. ძაღლების დამცველთა სიძულვილით, აგრესიითა და შეურაცხმყოფელი სიტყვებით გაჯერებული კომენტარების განხილვას, რომ არა ერთ-ერთი ფეისბუქმომხმარებელი ქალბატონის 7 აგვისტოს პოსტი, რომელიც ასევე გახდა აგრესიული და ბინძური თავდასხმების ობიექტი. იგი წერს, მომთაბარე ძაღლებისგან შევიწროებულმა, ამ დილით თბილისის მერიაში დავრეკე. ოპერატორმა მშვიდად მომისმინა და ვიდრე ცხოველთა დაცვის მონიტორინგის სამსახურის კომპეტენტურ პირს დამაკავშირებდა, აპლომბით განმიცხადა, ქალბატონო, ძაღლებს თქვენი პრეტენზიის გამო, არავინ გაიყვანს ქალაქიდან... „ჩვენ სამწუხაროდ არ გვაქვს ცხოველების თავშესაფარი“, – მიპასუხეს ცხოველების დაცვის სამსახურიდან – „მითხარით, გიკბინათ ძაღლმა? თუ გიკბინათ, გვითხარით სად იმყოფება აგრესიული ცხოველი, რომელმაც დაგაზარალათ და წავიყვანთ. რაც შეეხება თქვენს პრეტენზიას, რომ ძაღლები ღამით ძილს გიფრთხობენ, ვერაფრით დაგეხმარებით“. სისხლი ყელში მომაწვა – ე.ი. აუცილებელია ძაღლმა მიკბინოს არა?! მერედა, როგორ ფიქრობთ, ძაღლი ერთ ადგილზე გაჩერდება და თქვენს გამოგზავნილ ბრიგადას დაელოდება?

12 გვ.

ხომ გეუბნებოდით, გაფრინდებიან-მეთქი?!

10 გვ.

რეო. ჰო, ეს ეუბნება ბიძინა ივანიშვილს, ხალხს დაეხმარეო. ამაზე, ამ ვასაძეზე, ენა რო წაუტლეკია, ამბობენ, სკოლა რო აქვს გახსნილი კიკეთში, მასწავლებლებს გზის ფულს უხდისო. ვაღიარებ, ეს უდიდესი ქველმოქმედებაა, ივანიშვილის მცდელობები ამასთან ვერ მოვა, მაგრამ გამოდი და ხალხს დაეხმარეო, ნამეტანი მგონია.

სხვათა შორის, კი ვფიქრობ, ამ ვასაძეს გულის ფიცარზე ფეხი დავადგა-მეთქი, მაგრამ თან ვყოყმანობ, ეგ ისეთი თუქსუსია, შეიძლება იუკადრისოს, შეიძლება აქეთ შემომიტიოს, მე იმნაირი აღმაშენებელი არა ვარ, სხვანაირი ვბრძანდები, ეგეთი რაღაცები საჭირო არ არიო.

სანამ ამ წერილს დავამთავრებდი, მიხედმოხედვაც ვერ მოვასწარი, კიდევ ერთი აღმაშენებლის შესახებ შემატყობინეს. თუ გნებავთ, გაუნათლებლობაში ჩამითვალეთ, თუ გნებავთ, უყურადღებობაში, არ ვიცოდი... თურმე საქართველოს ბიძინა ივანიშვილზე დიდი ქველმოქმედი ჰყოლია და არ ვიცოდი. თუმცა თავს იმით ვინუგეშებ, რომ არც თქვენ იცოდით.

ამონარიდი სააგენტო კვირისპალიტრა.გე-ს მიერ ნინო ბურჯანაძესთან გამოქვეყნებული ინტერვიუდან:

„პირდაპირ გეტყვით, ყველაზე დიდი ქველმოქმედი, ვისაც ვიცნობ, ანზორ ბურჯანაძეა. ივანიშვილისგან განსხვავებით, უწყისებზე ხელს არ აწერინებდა იმ ადამიანებს, ვისაც ეხმარებოდა. ასე რომ გაეკეთებინა, ზოგიერთების შვილები ენას ჩაიგდებდნენ. ყველას ეხმარებოდა, ვისაც სჭირდებოდა და გარწმუნებთ, პროცენტულად რომ შეადაროთ ივანიშვილის ქონება ჩვენს ქონებას, გაცილებით დიდი ქველმოქმედი აღმოჩნდება ანზორ ბურჯანაძე. ეს ზოგმა დაინახა და ზოგმა ვერა, მთავარია, ღმერთი ხედავს“.

ნინო ბურჯანაძე: გარწმუნებთ, პროცენტულად რომ შეადაროთ ივანიშვილის ქონება ჩვენს ქონებას, გაცილებით დიდი ქველმოქმედი აღმოჩნდება ანზორ ბურჯანაძე. ეს ზოგმა დაინახა და ზოგმა ვერა, მთავარია, ღმერთი ხედავს.

გასულ კვირას მამუკა ხაზარაძემ, თანამედროვე ილია ჭავჭავაძემ კიდევ ერთხელ „გააჟღერა“ ორიგინალური „სიბრძნე“: „ლელო ხარ შენ, ლელო ვარ მე, ლელო არის საქართველო“.

რა გაცინებთ?

რა გინდათ, რას ერჩით? მერე რა, რომ ჯერ კიდევ შარშანდლამდე ქვეყნის მოსახლეობას ასახლებდა ბინებიდან და ვინც მაგის ბანკში სესხს იღებდა, პროცენტებს უმატებდა და უმატებდა? აგერ, უცებ შეიცვალა ადამიანი, ერთ ღამესაც ზემოდან შთააგონეს, ეს ქვეყანა, ანუ ღვთისმშობლის წილხვედრი ალაგი შენი გადასარჩენია, გეყოფა ყვერების ფხანაო. გაიღვიძა ამან, ამ ხაზარაძემ, გამოვიდა პუბლიკის წინაშე და განაცხადა ის, რაც ზემოთ მოგახსენეთ, დღეიდან ყველანი ლელოები ვართო... დიახაც, დაივიწყეთ, რომ თქვენ (ზოგიერთს) გერქვათ ვახტანგი, ირანდა, გელა, ლევანი, იმანო თუ ამანოო, ამიერიდან ლელოები ხართო. ჩვენ კი... აი, ჩვენ კი რაღა დაგვრჩენია? დაე, ვიყოთ ლელოები, ოღონდაც ამ ქვეყანას ეშველოს!

განა შეიძლება, ჩვენ რამე პრეტენზია გვქონდეს? ადგა კაცი, გაიღვიძა, გამოვიდა და თქვა, ილია ჭავჭავაძეც თავის დროზე ბანკირი გახლდათო... თქვენ გგონიათ, დავით აღმაშენებელი არ იყო ბანკირიო? ადამიანი, რომელიც ხარკს კრეფს, სკივრში ინახავს და მერე იმ სკივრიდან უზალთუნებს ნელ-ნელა იღებს, ის ბანკირიაო. მე კიდევაო, აღარც ფული მინდა, აღარც ბანკი, აღარც სახლ-კარი და აღარც ცხენი, ეხლა მამული უნდა გადავარჩინო, ფეხი დამადგით, გულზე დამადგით ფეხი ყოველმანო, ოღონდ მერე, როცა გადავარჩენო.

გეხვეწებით, არ დამიჭიროთ, გამიშვით,

აი, თურმე რაში ყოფილა საქმე... ესე იგი, ბიძინა ივანიშვილისა და ანზორ ბურჯანაძის ქონება ერთმანეთს რომ შევადაროთ და პროცენტულად გავიანგარიშოთ, ანზორ ბურჯანაძე უფრო დიდი ქველმოქმედი გამოდის. ვაღიარებ, ქალბატონი ნინო გენიოსია... ამ ლოგიკით მე უფრო დიდი ქველმოქმედი გამოვდივარ, ვიდრე ბიძინა ივანიშვილია. მეტიც, თუ ჩემს ქონებას ანზორის ქონებას შევადარებთ და პროცენტულად გავიანგარიშებთ, ამ უდიდეს ქველმოქმედსაც კი ვუჯოკრავ. ვაააა... ამაზე არასდროს მიფიქრია... თუმცა ღმერთი ხომ ხედავს?

მოკლედ, ბატონო ლელოებო და ქალბატონო ლილუებო, ალბათ დამეთანხმებით, ამდენი აღმაშენებელი ჩვენს სამშობლოს არასდროს ჰყოლია... არც ამდენი ილია ჭავჭავაძე. მე ახლა გამორჩეული მოღვაწეები წარმოგიდგინეთ, თორემ ქუჩაში გამოკითხვა რომ ჩაატაროთ, ყოველი მეორე დავით აღმაშენებელია, ხოლო ყოველი — ილია ჭავჭავაძე. თქვენ გგონიათ, ან დავითობა, ან ილიობა ძალიან ძნელია? არა, უბრალოდ გამბედაობაა საჭირო, მეტი არაფერი... გამბედაობა და ცოტა თავხედობაც... ცოტა წაყ...ევებაც!

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

უპატრონოდ დარჩენილი ადამიანები...

11 გვ.

ცხოველთა ხმაურზე პასუხს არ ვაგებთო ამბობთ......მე თუ ღამის 12 საათის მერე მეზობლის მყუდროება დავარღვიე მაშინ... – „მაშინ თქვენ კანონიერად დაისჯებით, რადგან თქვენ ადამიანი ხართ და არა ცხოველი“ – მიპასუხეს ტელეფონის ყურმილიდან.

როგორც აღვნიშნეთ, ეს ქალბატონი აგრესიული და ბინძური თავდასხმების ობიექტი გახდა. შემოგთავაზებთ ერთ ასეთ კომენტარს, რომლის ავტორსაც სხვა ფეისბუქმომხმარებლებმა შიზოიდი კი უწოდეს, მაგრამ ვფიქრობთ, ეს ინდივიდი უზრდელობისა და უხამსობის კლასიკურ მაგალითად გამოდგება, რომელიც ჩვენ გაზეთს და განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებსაც დაესხა თავს ბინძური კომენტარებით. ამ არსებას ეტყობა მაია წყნეთელის „ფუნქცია“ აქვს დაკისრებული და „მეტაჩკის“ ლექსიკით ლანძღავს ყველას. ნახეთ რას წერს ეს არსება დედის ტოლი ქალბატონის მისამართით: – შენი სექსუალური ფანტაზიების გათვალისწინებით, რთულად ყოფილა საქმე. „რაო, ბომბორამ, არაო? პ.ს. ცხოველთან ახლოს ჩახდილი არ დაგინახო, თორემ ვიდრე მაგისთვის მიუახლოვდები, საკვერცხეებს აგახევ“. ეს კონკრეტული გაურკვევლობა „ეჭვიანობს“ კიდეც ძაღლებზე, როგორც სექსუალურ პარტნიორებზე და სავარაუდო „საპერნიცებსაც“ ემუქრება? თუ ეს ასე არ არის, მაშინ რატომ „შეურაცხგყოთ“ ერთ-ერთი ფეისბუქმომხმარებლის კომენტარმა და გამოენთეთ უხამსი ეპითეტებით, თავად მოიხსენიეთ ზოოფილად, როცა მან მე, როგორც ჟურნალისტს დამისვა კითხვა, ზოოფილიით დაავადებული არსებების მეგობარმა ძაღლებმა 600 ადამიანი დაკბინეს და აქამდე რატომ არ იღებდით ხმასო. ხელისუფალნო, ერთი მუჭა ძაღლების „თავგამოდებული დაცველების“ აზრი რომ რატომღაც უფრო მნიშვნელოვანია თქვენთვის, ვიდრე მოსახლეობის, წაიკითხეთ, რას წერს ეს მოსახლეობა, მათ შორის თბილისელები – ნახეთ რა ხდება „თავისუფლების“ მეტროსთან, „გალერის“ წინ, ზედ „ზემელზე“, პლეხანოვზე, გადასასვლელ ხიდთან... წალეკა ქალაქი აგრესიული ძაღლების ჯოგმა. მერე რაა, რომ „ბირკიანებია“, მერე რააა თუ კბენას გადავრჩი... შეღავათია? ადამიანებს არ ყავთ

ერთ რაიონში ცოფის ხუთი შემთხვევა დაფიქსირდა, იქ ლეიშმანიოზი და განავლით დაბინძურება ხომ საერთოდ. იყო ვოლიერები, თუ არ ექვემდებარებოდა ნორმებს და ძაღლი ავადმყოფობის ბუდეს წარმოადგენდა. კანონი აუცილებლად თავიდან შესადგენია, მეძაღლეებმა ისწავლეთ ალიკაპის ხმარება რაა, თორემ პლეხანოვის მსგავსი ფაქტი, არაერთი განმეორდება.

ზემოხსენებულ პოსტს, რომლის ავტორი ქალბატონიც ფრიად „დაამშვიდეს“ დედაქალაქის მერიის თუ „ჰუმანისტთა“ კასტის წარმომადგენლება, ჩვენი რესპოდენტი **ლია რუსიაშვილი** ასე ეხმაურება: „ეს დედაქალაქია თუ ძაღლების ზოოპარკი? თავმოყვარეობა დაკარგეთ, ქართველებო, რომელ ქვეყანაში დაძრწიან ძაღლები ასე? ერთი ქვეყანა მაინც დაასახელეთ, თუნდაც ყველაზე ჩამორჩენილი! ქართველო მილიონერებო, გააკეთეთ ცხოველთა თავშესაფრები, ადამიანებისთვის თუ არ გემეტებათ დახმარება, ცხოველებს მაინც მიხედეთ, მით უფრო, რომ მილიონერთაგან თავშესაფრების მოწყობა ერთობ მოდაშია მთელ მსოფლიოში. თქვენ „მარიაჟობის“ (ასე რიგად რომ გიყვართ) საუკეთესო შანსი მოგეცემათ. მართლაც საგანგაშო მდგომარეობაა, ნახეთ, რას წერენ სოციალურ ქსელში, ვარკეთილში ადრიან დილით ძაღლების მიერ ძაღლის შეჭმის ფაქტი დაფიქსირდა. იცოდეს ხალხმა, თუ როგორი მობილიზებულნი გახდნენ, ისინი თავს ესხმიან ძალიან ადრე დილით ქუჩაში გამოსულ ადამიანს, როცა ირგვლივ სხვა ადამიანები არ არიან. სხვა წერს, მსგავსი ფაქტები უამრავი იქნება, ერთმანეთისგან დაკბენილი, სისხლმდინარე ჭრილობებით და შემდეგ ბუზებ და ხდება ხსენებულ პოსტმოვითხოვთ ხელისუფლებისგან, რომ სასწრაფოდ მიიღოს მოსახლეობისთვის უსაფრთხო ზომები, მოეწყოს თუნდაც სახელდახელო თავშესაფრები და ქუჩებში და სკვერებში გაშვებული თითოეული ცხოველი იქ იქნას გადაყვანილი, როგორც ეს ხდება ნებისმიერ ცივილიზებულ და თვით ჩვენზე უფრო ჩამორჩენილ სახელმწიფოში!“

მოვითხოვთ ხელისუფლებისგან, რომ სასწრაფოდ მიიღოს მოსახლეობისთვის უსაფრთხო ზომები, მოეწყოს თუნდაც სახელდახელო თავშესაფრები, ქუჩებში და სკვერებში გაშვებული თითოეული ცხოველი იქ იქნას გადაყვანილი, როგორც ეს ხდება ნებისმიერ ცივილიზებულ და თვით ჩვენზე უფრო ჩამორჩენილ სახელმწიფოში! საზოგადოების სახელით, რამდენიმე მრავალშვილიან დედას გვინდა პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიასთან შეხვედრა, რათა არამარტო დედაქალაქში, არამედ სრულიად საქართველოს მასშტაბით, ყველა რეგიონში განთავსდეს ცხოველთა თავშესაფრები, რომ ქუჩები და საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილები გათავისუფლდეს საგანგაშოდ მომრავლებული ძაღლებისგან, რითაც არამარტო მოქალაქეების, განსაკუთრებით ბავშვების უსაფრთხოება იქნება დაცული, არამედ თავშესაფრის მომსახურე პერსონალის შექმნით, დამატებითი სამუშაო ადგილები გაჩნდება“.

იმდენი დამცველი, რამდენიც ძაღლებს. რადგანაც ადამიანის დაცვისთვის გრანტებს არ იძლევიან, არავინ უნდა იცავდეს ადამიანის უფლებას?! და კიდევ, ეს „ბირკიანი“ ძაღლები კასტრირებულია, არ მრავლდებიან, არადა გასაოცარი სისწრაფით იზრდება ქუჩაში მათი რაოდენობა... რა გამოდის, გბეზრდებათ მათი მოვლა და ყრით გარეთ თუ მათ ლეკვებს იმეტებთ ქუჩისთვის?! ვინმე დაიცავს გამვლელთა უფლებებს?! სანამ მაგ გალსტუკიან, ტლუ ჩინოვნიკებს არ უკბენენ ძაღლები და უკანალს არ გამოუღებენ, მანამ ვერ ისწავლიან ჭკუას. ეს არის უაზრო მეძაღლეების ბრალი. ან სადმე ტერიტორია გამოუყონ, შემოღობონ და იქ შეყარონ, ან ვინც თავგამოდებული იცავს, მიუყვანონ სახლებში, გადაუნაწილონ და ვალდებული გახადონ მოუარონ და მიხედონ შესაბამისად. თუ არა და ხმას ნუ იღებენ მეძაღლეები. შეჭამეს ხალხი, უკვე ქუჩებში უსაფრთხოდ ვერ გადაადგილდები, ველოსიპედითა და მოტოციკლით ხომ საერთოდ.

მანანა სუხიაშვილი
599 51 28 24

არგახარებულნი და არგასახარებელნი

ამ წერილს სოფელში ვწერ. რომ გითხრათ, შუაღამე იწვის, დნება, სიო, სარკმლით მონაქროლი, ველთა ზღაპარს მეუბნებამეთქი, მოგატყუებთ. სადღაც შორს ტურები ჩხავიან: აუუუუუ!

ამბობენ, ქიზიყში მგლებიც მომრავლდნენო. ალბათ ასეა. მე პირადად არსად გადავყრივარ. უფრო სწორედ, ისინი არ გადამყრიან, თორემ კაი ჩიტსაც დაიჭერდნენ. გასულ ზაფხულს იყო ტიბაანში, ვენახიდან მოსული გლეხი აივანზე მიწვა, მიიძინა, თურმე შუაღამისას მგელი დაადგა თავზე, ჯერ დასუნა, აათვალიერა, ჩაათვალიერა და სწვდა საცვლის ტოტში. მთელი სოფელი იძრა, გამოეკიდნენ, ვერ დაიჭირეს, დღესაც ლეგენდებს ჰყვებიან, უზარმაზრი იყოო, დეზებიანიო, თვალები ლურჯად უელავდაო, დაკრეჭილი კბილებიდან ცეცხლს აფრქვევდაო... თვალი ვეღარ მივადევნეთო, აეგრე, გედიქის ხევზე გავარდა და ცლუნკაანისკენ გადაუხვიაო. მოკლედ, გადაუხვია და წავიდა, ამ ზაფხულს აღარ გამოჩენილა.



სოფელი მოძრაობს, ბევრი რამ კეთდება და მე ეს მახარებს. რატომ მახარებს? იმიტომ, რომ არ ვარ ნაცი, გნაცი და შმაცი. მე რომ ან ერთი ვიყო, ან მეორე, ან კიდევ მესამე, რა თქმა უნდა, არ გამიხარდებოდა. ჩემ დიდ ბებიას, ერთთავად თუთის ძირში რომ იჯდა და ცხვირში ბურნუთს იყრიდა, ვინმეს საქციელი თუ არ მოეწონებოდა, ქოქოლას დააყრიდა ხოლმე, შე არგასახარებელოო. მაშინ ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ დადგებოდა დრო, როცა საქართველოში არგასახარებელთა, არგახარებულთა პარტიაც კი ჩამოყალიბდებოდა. მეტიც, თუ დაუკვირდებით, მიხვდებით, რომ დროთა განმავლობაში არგახარება პროფესიადაც კი იქცა.

აი, მაგალითად!

ქიზიყში არის დაბა წნორი, რომელსაც შინაურულად პატარა ბომბეისაც ეძახიან. აქ ზაფხულში ძალიან ცხელა, ტემპერატურა 50 გრადუსამდე აღწევს და ამ დროს მოსახლეობას წყალი ჰქონდა გრაფიკით. ასე იყო კომუნისტების დროსაც. იმდენი ქნა ამ ხელისუფლებამ, წნორს თანამედროვე, ევროპული სტანდარტების რეზერვუარები აუშენა და მუდმივი წყალი ჩაურთო. ცხადია, მოსახლეობა გახარებულია, აქაურები იძახიან და საკუთარი თვალითაც ვნახე, უკვდავების სითხე ისეთი წნევით მოგვეწოდება, გაოცებულნი გახლავართო, ლამის მილები დასკდესო. რაც მთავარია, თითქმის უფასოდ — ტონა 45 თეთრად. მოსახლეობა გახარებულია-მეთქი, უკვე გითხარით... თუმცა არიან არგახარებულნიც, რომლებიც ხელებს ასავსავებენ: ეგ ჰო, კარგია, მაგრამ რაღა საარჩევნოდ გამოუშვესო?

მე: რა მნიშვნელობა აქვს, შე ჩემა, როდის გამოუშვებენ?!

ნაცი: ჩაივლის არჩევნები და წყალიც დაწყდება!

მე: რათა?!

ნაცი: ეგრე იქნება, ამ ხელისუფლებისა რამე დაიჯერება?!

მე: ნახე, როგორი რეზერვუარებია გაკეთებული?

ნაცი: არა და არც მაინტერესებს!

მე: წინა არჩევნების პერიოდში გზები რომ გაგიკეთეს, არჩევნების მერე აყარეს?

ნაცი: ვერ აყარეს!

მე: აპირებდნენ და ვერ აყარეს, ხო?

ნაცი: ვერ დააპირეს, შეეშინდათ!

რაღა ბევრი გავაგრძელო? არიან არგახარებული ადამიანები, რომლებსაც არაფერი უხარიათ. ეს მათი ვალია, მათი მოვალეობაა, ასე უნდა იაზროვნონ და სხვებსაც უნდა შთააგონონ, რომ ხელისუფლება საქმეს მხოლოდ არჩევნების წინ აკეთებს. მოვა მიშა და ამ ქვეყანაში სიკეთის კეთება გახდება მუდმივი, აღარ იქნება გრაფიკით.

მე კი დარწმუნებული ვარ: მიშა ჩემ ფეხებს მოვა, მაგრამ დავუშვათ (წარმოვიდგინოთ), მოვიდა... ამ ქვეყანაში მუდმივი და უფასო იქნება უკანალში „დუბინკის“, ცოცხისა და „კასტილის“ კეთება. აი, როგორც 2012 წლამდე იყო!

შემდეგი მაგალითი!

ჩემ სოფელს (ჯუგაანს) სამი შემოსასვლელი აქვს — აქედან, იქიდან და ქვემოდან. აქედან და იქიდან კი გააკეთეს ბეტონის გზა, მაგრამ ქვემოთა გზა, რომელიც ძირითადად ბაღ-ბოსტნებში, მინდვრებსა და ვენახებში მიდის, კომუნისტების დროიდან მოყოლებული, დანგრეული იყო. ახლა აკეთებენ, სანამ ამ წერილს მოვრჩები, დასრულებული იქნება და მე ეს მახარებს, რადგან არც ნაცი ვარ, არც გნაცი, არც შმაცი!

არაო, კაცო, გზა და კვალი კარგია, მაგრამ რაღა წინასაარჩევნოდ აკეთებენო?!

მე: შე თახსირო, რა მნიშვნელობა აქვს, ხომ აკეთებენ?

ეგეთი არგახარებულ-არგასახარებლები უკვე დაძვრებიან ოჯახებში. მეთოდი იგივე აქვთ, გონებრივად რომ მოიკოჭლებენ, ისეთ ადამიანებს აჯერებენ, ჩვენ უკვე მოვედით, ხელისუფლების გადაბარების პროცესი მიდის, ოქტომბრის ბოლოს გავაფორმებთ, ბიძინა გაიქცევა, ბილეთი აქვს აღებული თბილისი-პარიზის რეისზეო. პენსიონერებსაც უყვებიან ზღაპრებს, მოვალთ, თითქმის მოვედით, ჩათვალეთ, პენსია უკვე გაქვთ 500 ლარიო. „ნაციონალების“ გაიძვერა აგიტატორები გაყვითლებულ ფურცლებს დაარბენინებენ, რაღაც ტყუილი სიები აქვთ ჩამოწერილი ბატიფეხურით, ვითომ ყველა მაგათი მხარდამჭერია, ვითომ ყველამ ხელი მოუწერა. ფურცლები მეტი დამაჯერებლობისთვის სჭირდებათ.

მიუხედავად ამისა, ნაცებს, გნაცებს და შმაცებს ლილა აქვთ გახუნებული!

თუმცა, მივმართავ კახეთის სოფლების გამგებლებსა და რაიონების (მუნიციპალიტეტების) მერებს!

თქვენი დუმილი და უმოქმედობა ისევ მაეჭვებს. მეტიც, თქვენი ინერტულობა და უნიათობა მაშინებს, იგივე არ განმეორდეს, რაც მოხდა საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში.

გითხრათ, რა მოხდა მაშინ?

როცა თქვენ რესტორნებში დაგრიალობდით და დღეგამოშვებით „პახმელიაზე“ იყავით, „ნაციონალები“ არჩევნებს აყალბებდნენ და ისე გააყალბეს, რომ 800 ათასი ხმა ჩაიწერეს.

მეორე ტურის მშვიდობიანად ჩამთავრების შემდეგ ვფიქრობდი, ზოგიერთ თქვენგანს კინწისკვრით გააგდებდნენ, ზოგიერთნი კიდევ ინამუსებდით და საკუთარი ნებით მოცოცხავდით, მაგრამ არც ერთი მოხდა, არც მეორე. იმედია, მომავალ წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები რომ ჩატარდება, აუცილებლად გაქრებით შარშანდელი თოვლივით. შეიძლება ასეთ ასეთ მიმართვას ყველანი არ იმსახურებთ, შეიძლება იშვიათი გამონაკლისებიც არსებობთ, მაგრამ საერთო ფონი მაინც კატასტროფულია. ასე რომ, გაიღვიძეთ, ნაცები არჩევნებს უკვე გიყალბებენ!

გასულ ხუთშაბათს „ქართული ოცნების“ ლიდერებმა საგარეჯოელებს, სიღნაღელებსა და დედოფლისწყაროელებს მაჟორიტარობის კანდიდატი დავით სონღულაშვილი წარუდგინეს. ყველაფერმა კარგად ჩაიარა, დავითს აქებენ და მოსახლეობამაც უპრობლემოდ მიიღო, მაგრამ დედოფლისწყაროელებმა ჩაიცინეს, პარტიის ლიდერები ტრიბუნიდან „ნაცმოძრაობას“ აკრიტიკებდნენ და პირველ რიგში „ნაციონალები“ ისხდნენო. გვარებიც ჩამომითვალეს. პირი დავაღე. თუმცა არ გავტყდი, ეგენი ყოფილი ნაცები არიან-მეთქი. ჰმ... ყოფილი ნაცი არ არსებობსო. გამაჩუმეს.

რათა, შვილებო, რათა?!

ამდენი დამსახურებული, ამდენი ნატანჯი ხალხი გყავთ, 2012-ში და მანამდეც ადამიანები გვერდში გედგნენ, თავები გაწირეს, რატომ წამოგისკუპებიათ პირველ რიგში ყოფილი ნაცები?!

ვერ გავიგე, ვერ ამოვხსენი, რატომ უნდა გეჯდეს ცხვირწინ მტერი, რატომ უნდა აფასებდე მოყვარეზე მეტად და რატომ უნდა გყავდეს გარიყული იგივე მოყვარე? რა ვქნა, ამ ფენომენს ვერაფერი გავუგე, ვერანაირ ლოგიკაში ვერ ჩავსვი და ალბათ ვერც ჩავსვამ!

კახეთი რთვლის მოლოდინშია. ყურძნის ფასი უკვე დადგენილია — რქაწითელი 80 თეთრი იქნებაო. გლეხები ერთმანეთს ელაპარაკებიან, ცოტაა, ლარი მაინც უნდა იყოსო. თუმცა ამასაც არაუშავსო, ჯანდაბასო. ერთ თვეში „ნაციონალები“ დაიწყებენ კამპანიას: ღვინის ყველა მარანი ბიძინა ივანიშვილისაა, მეტს არ გიხდით, გჩაგრავთო. აი, მიშა რომ მოვა, ლარზე მეტი იქნებაო, „დაჟე“ ორი ლარიო, სამიცო, ოთხიცო... დუპლეტები დაიჯერებენ, თუ ეგრე იქნება, ჩვენც ეგ გვინდაო.

სოფელს ძალზედ საშიში ჭირი შემოსჩვევია, კოვიდი არაფერია მაგასთან შედარებით — ბალღები „პლანს“ აფუილებენ და კაიფში მყოფნი მამების „მანქნებით“ გონკაობენ. ვის მამასაც მანქანა არ ჰყავს, გდია ბირჟაზე დუჟმორეული.

კომუნისტებს ჰქონდათ ასეთი წესი: თუ კახეთში რთვლის პერიოდში ქუჩაში ვინმე (ჯანიანი) გაიჭაჭანებდა, სტაცებდნენ ხოლმე ხელსა და შეაგდებდნენ პირდაპირ ვენახში. ერთხელ მეც დამიჭირეს, მუშახელი გვიჭირს, „ბეგომ“ პლანებშიო, ვედრო იქ დაგხვდებაო. უნივერსიტეტის ჩათვლის წიგნაკმა გადამარჩინა, გამოცდა მაქვს ჩასაბარებელი, თბილისში მივდივარმეთქი. მართლა ეგრე იყო. ვინაიდან კომუნისტები განათლებას დიდ პატივს სცემდნენ, გამიშვეს.

მახსოვს, იმ პერიოდში ყოველი სოფლის ცენტრში წითელ ნაჭერზე თეთრით დაწერილი ლოზუნგი გაჩნდებოდა ხოლმე: „სამშობლოს ბედი ვენახში წყდება, შენ რას აკეთებ აქ“?!

თუ ნამუსი გქონდა, უნდა გაწითლებულიყავი მაინც.

ეხლა ეგრე აღარ არი, ეხლა ჯირკვივით ბიჭები მთელი დღე ბირჟაზე სხედან და ერთ ადგილს იფხანენ. გარშემო არავინ არის, ხანდახან ნაცების აგიტატორი ჩამოივლის, ქოცებს შეაგინებს და მიდის, რომ ახლა სხვა ბირჟებს ჩამოუაროს.

გელა ზედელაშვილი
555 48 48 61

ინგლისელების და ამერიკელების ბიზნესი ნაცისტებთან

იმის შესახებ, რომ ანგლოსაქსონური კაპიტალი გერმანულ ეკონომიკას ასაზრდოებდა და მესამე რეიხის მილიტარიზაციას უწყობდა ხელს, დღეს თითქმის არ დავობენ. თუმცა თითქმის ყოველთვის ამ თეზისის საილუსტრაციოდ მოყავთ 1924–1929 წლების პერიოდის ციფრები, პერიოდისა, როდესაც ვაშინგტონმა მოახდინა დაუესის გეგმის ინიცირება, რომელიც ვეიმარის რესპუბლიკის რეპარაციული უღლის შემქუბუქებასა და მისი ეკონომიკის გამყარებაში მდგომარეობდა, რაც ამერიკული და ინგლისური კრედიტებისა და ინვესტიციების დახმარებით უნდა განხორციელებულიყო.

იალმარ შახტი, რომელიც 1929 წლის დაუესის გეგმის შესრულებას



აჯამებს, სიამოვნებით აღნიშნავდა, რომ „გერმანიამ 5 წლის განმავლობაში იმდენივე უცხოური სესხი აიღო, რამდენიც ამერიკამ მიიღო 40 წლის განმავლობაში, რომლებიც პირველ მსოფლიო ომს უძღვოდა წინ“. ანგლოსაქსონური კაპიტალი, ერთის მხრივ, შეერწყმება გერმანულ ეკონომიკას და აძლიერებს მას, მეორეს მხრივ კი სხვადასხვა საშუალებებით ცდილობს დაეხმაროს გერმანიას რეპარაციის უღლის შემსუბუქებაში. ყველაფერი ეს გერმანიის ეკონომიკის აღორძინების დაუესის გეგმის დროშის ქვეშ კეთდებოდა, რომელიც 1924 წელს იყო მიღებული.

სიტუაცია 1929 წლის ოქტომბერში იცვლება. ნიუიორკის საფონდო ბირჟაზე პანიკა იწყება, რომელიც მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის პროლოგი გახდა. ანგლოსაქსონური კაპიტალი ცუდ მდგომარეობაში აღმოჩნდა, გერმანიაში ინვესტიციები და კრედიტები შეწყდა. მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მწვავე ფაზა 1932 წელს მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე დეპრესიის ფაზით იცვლება. 1933 წლის დასაყისში გერმანიაში ხელისუფლებაში მოდის ჰიტლერი და ამ მომენტიდან გერმანიის ეკონომიკა წყვეტს დასავლეთის სხვა ქვეყნების ეკონომიკების მხარდამხარ სიარულს. იმის ნაცვლად, რომ სხვა ქვეყნებივით დეპრესიაში ჩაეფლოს, გერმანიის ეკონომიკა გამოცოცხლებას იწყებს და მკვეთრად მიდის წინ. მოხდა „ეკონომიკური სასწაული“.

1933 წლის მარტში ი. შახტი რეიხსბანკის ხელმძღვანელის პოსტზე ბრუნდება და უკვე მაისში ამერიკაში მიემგზავრება ტურნეში, უკანა გზაზე კი ლონდონში ჩერდება. ცნობილია მისი მოგზაურობის ზოგიერთი წვრილმანი. ამერიკის პრეზიდენტთან და მსხვილ უოლსტრიტელ ბანკირებთან შეხვედრის შემდეგ ამერიკამ გერმანიას უდიდესი კრედიტი გამოუყო, რომლის რაოდენობა 1 მლრდ დოლარი იყო, ხოლო ივნისში ლონდონში ყოფნისას შახტი შეხვდა ინგლისის ბანკის მმართველს მონტეგიუ ნორმანს და მიაღწია, მიეღო ინგლისური სესხი 2 მლრდ დოლარის ოდენობით და ჯერ შეამცირებინა, შემდეგ კი შეაწყვეტინა ძველი სესხების გადახდა. შახტის ბიოგრაფები ადასტურებენ, რომ ნაცისტებმა ის მოახერხეს, რაც წინა

ხელისუფლებებმა ვერ შეძლეს.

ჯერ ერთი, აშშ-სა და ინგლისში საქონლის შეძენა ხორციელდებოდა კომერციული კრედიტების გამოყენებით. ასეთი კრედიტები წარმოადგენს იმპორტის საფასურის გადახდის გადავადებას (ერთი თვიდან ერთი წლის ჩათვლით) და საერთაშორისო ვაჭრობაში ჩვეულებრივი პრაქტიკაა. გერმანიას შეეძლო ჰქონოდა პროფიციტი ვაჭრობაში, რომელსაც სავაჭრო პარტნიორი კონვერტირებული ვალუტით ფარავდა (გირვანქა სტერლინგით და დოლარით). ესე იგი მესამე რეიხს გაეხსნა ვალუტის წყარო მსოფლიო ბაზარზე შენაძენების განსახორციელებლად ეკონომიკის გადაიარაღებისა და ომისთვის მზადების მიზნით.

1934 წლის ივლისში ხელი მოეწერა ინგლისურ-გერმანულ „ტრანსფერტულ“ ხელშეკრულებას, რომელიც მესამე რეიხის მიმართ ბრიტანეთის პოლიტიკის დედაბოძად იქცა“.

იტალიელი მკვლევარი გვიდო პრეპარატა წერს: „ამ შეთანხმების ნორმებით მესამე რეიხს უფლება ეძლეოდა, დაეგროვებინა მნიშვნელოვანი მოგება ბრიტანეთთან ვაჭრობის შედეგად; ამ მოგების გადაყვანა შეიძლებოდა თავისუფლად კონვერტიურებად გირვანქა-სტერლინგში, რომლის გამოყენებაც ნაცისტებს შეეძლოთ ბრიტანეთის საიმპერიო ბაზრებზე საჭირო გადიარაღების შეძენისას; ამგვარი იმპორტის მთავარი საქონელი კაუჩუკი და სპილენძი იყო. ათწლეულის დასასრულისთვის გერმანია ბრიტანეთის ძირითადდ სავაჭრო პარტნიორად იქცა. მაგალითად, 1937 წელს გერმანიამ ორჯერ მეტი ბრიტანული საქონელი შეიძინა, ვიდრე ორმა კონტინენტმა ერთად და ოთხჯერ მეტი, ვიდრე შეერთებულმა შტატებმა“.

1938 წლის დასასრულსა და 1939 წლის დასაწყისში ბერლინში კომერციულმა ატაშემ მაგოვენმა წარმოადგინა ორი მემორანდუმი, რომლებშიც უაიტჰოლს სთავაზობდა, გადაეხედა 1934 წლის საგადამხდელო შეთანხმებისთვის.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ჰიტლერული გერმანიის ეკონომიკა უფრო ამერიკულ-გერმანული იყო. ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლისათვის ამერიკული კაპიტალის სრული კონტროლის ქვეშ იმყოფებოდნენ გერმანიის მრეწველობის ყველა სტრატეგიულად მნიშვნელოვანი დარგები — 278 ფირმა და

კონცერნი. ამერიკული კაპიტალი მესამე რეიხის განმტკიცებაზე მუშაობდა.ი. შახტმა ქვეყანაში შემოიღო ამკრძალავი გადასახადები ქვეყნიდან კაპიტალის გატანაზე, ასევე უცხოელებს აუკრძალა გერმანიიდან დივიდენდების, პროცენტებისა და სხვა საინვესტიციო შემოსავლების გატანა. ამერიკული კაპიტალი ქვეყანაში შევიდა ჯერ კიდევ დაუესის გეგმის დროს და ახლა განაგრძობდა მუშაობას გერმანიის შიგნით, რომელსაც მესამე რეიზის ბელადებმა „ავტაკრული ეკონომიკა“ დაარქვეს.

ცნობილი ამერიკელი მკვლევარი ენტონი სატონი თავის ნაშრომში „უოლ-სტრიტი და ჰიტლერის აღმასვლა“ მოჰყავს საინტერესო ფრაგმენტები გერმანიაში ამერიკის ელჩის უილიამ დოდის 1936 წლის 19 ოქტომბრის გზავნილიდან ამერიკის პრეზიდენტის ფრანკლინ რუზველტის მიმართ: „დღეისათვის ასზე მეტ ამერიკულ კორპორაციას აქვს აქ შვილობილი საწარმოები ან თანამშრომლობენ აქაურ მეწარმეებთან. დიუპონს აქ სამი მოკავშირე ჰყავს: 1. მთავარი „ი.გ. ფარბენი“; 2. „სტანდარტ ოილი“ ყოველწლიურად 500 მლნ დოლარს დებდა, ეხმარებოდა რა გერმანიას შეექმნა საწვავის შემცვლელი საომარი საჭიროებებისთვის, ამასთან, „სტანდარტ ოილს“ უფლება აქვს, გაიტანოს მიღეული მოგება მხოლოდ საქონლის სახით. როგორც ამერიკაში მათი მოგება ადასტურებს, მათ აქ ცოტა მოგება აქვთ, მაგრამ ვერაფრით ხსნიან ამ ფაქტებს. 3. „ინტერნეშნლ ხორვესტერ კომპანის“ პრეზიდენტი მეუბნებოდა, რომ მათი ბრუნვა წელიწადში 333 პროცენტით მატულობს (საქმე ეხება საომარი პროდუქციის წარმოებას), მაგრამ აქედან არაფრის გატანა არ შეუძლიათ. ჩვენმა ხალხმა საავიაციო მრეწველობიდან საიდუმლო შეთანხმება დადეს კრუპთან... რატომ გადმორიცხა კომპანია „სტანდარტ ოილმა“, რომლის შტაბ-ბინაც ნიუ-იორკში მდებარეობს, 1993 წლის დეკემბერში ერთი მილიონი დოლარი, რათა გერმანელებს დაეხმაროს ნოთუმიზებული ნახშირიდან ბენზინის მიღებისთვის, რომელსაც ომის შემთხვევაში გამოიყენებს? რატომ განაგრძობენ „ინტერნეშნლ ხარვესტერის“ თანამშრომლები პროდუქციის გერმანიაში წარმოებას, როცა აქედან არაფრის გატანის უფლება არა აქვთ?“

მესამე რეიხის ეკონომიკაში ამერიკული კაპიტალის მასშტაბის შეფასების საშუალებას იძლევა მონაცემები ჩარლზ ხაიემის ნაშრომიდან „ვაჭრობა მტერთან: 1933–1949 წლების ნაცისტურ-ამერიკული ფულადი შეთქმულება“: „იაპონელების მიერ პერლ-ჰარბორზე თავდასხმისთვის ამერიკული ინვესტიციები ნაცისტური გერმანიის ეკონომიკაში 475 მლნ დოლარს შეადგენდა. გერმანიის ეკონომიკაში „სტანდარტ ოილმა“ ჩადო 120 მლნ; „ჯენერალ მოტორსმა“ — 35 მლნ; „ფორდმა“ — 17,5 მლნ...“

ჰიტლერულ გერმანიაში დაფუძნებული ამერიკული კორპორაციების ეს ქმედებები ირაციონალურად ჩანს, ისინი ჩვეულებრუვი ბიზნესის ლოგიკაში არანაირად არ ეწერება, რომლის ერთადერთი მიზანი მოგების მაქსიმიზაციაა. ამერიკული კაპიტალის გერმანიის ეკონომიკაში მონაწილეობას უდიდესი პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა. სიხარბე აქ არაფერ შუაშია, გერმანიის ეკონომიკაში ანგლოსაქსების მიერ ჩადებული ფულის დაბრუნებაზე ლაპარაკიც არ ყოფილა.

ინგლისელმა და ამერიკელმა ბანკირებმა მშვენივრად იცოდნენ გერმანიის ვალების შესახებ, აწარმოებდნენ მზარდი პროცენტების აღრიცხვას, მაგრამ არ ჩქარობდნენ. მათ ესმოდათ, რომ გერმანიას ომი უნდა დაეწყო, მოეგო ის და მიეღო უზარმაზარი მოგება, რომლითაც გადაიხდიდა პროცენტებს და ვალის ძირითად ნაწილს...

ბელა გველესიანი
568 90 81 22

თამილა ახალაია და ელგუჯა ესართია
იუწყებიან, რომ ტრაგიკულად დაიღუპა

თამაზ ალექსის ძე ახალაია

გამოსვენება „ყოვლაწმინდა ღვთისმშობლის ივერიის ხატის სახელობის ტაძრიდან“
20 აგვისტოს, 14 საათზე
მისამართი: ვარკეთილის ზემო პლატო, საქართველოს ერთიანობისთვის მებრძოლთა ქუჩა 34ა.

წერილი რედაქციას

საბჭოს მოედანზე არსებული ლიბერთი ბანკის ფილიალის თანამშრომლების უსულგულობის გამო გიგზავნით ამ წერილს. იქ მომუშავე ახალგაზრდა ქალბატონები ასაკოვან ადამიანებს, როგორც მათხოვრებს, ისე ექცევიან.

პენსიონერებისთვის მომსახურება ისე ეზარებათ, თითქოს კეთროვანებს ელაპარაკებოდნენ — ყველაფერზე პასუხობენ: არ გეკუთვნით, არ გეკუთვნითო და თითქოს ზედმეტ თავის ტკივილს ირიდებენო, ვინ იცის, საიდან მოსულ მოხუცებულს, უკან გაწბილებულებს აბრუნებენ.

ვინმე გვეტყვის, რა დროს მორალზე და ზრდილობაზე საუბარიაო, მაგრამ მორალისა და ზრდილობის გარეშე საზოგადოება არ არსებობს და ნუთუ საზოგადოება აღარ ვართ?

ამასწინათ ამ წერილზე ერთ ხელმომწერს მეგობარმა უცხოეთიდან მცირე თანხა გამოუგზავნა. ლიბერთი ბანკის აპარატიდან გადაწყვიტა თანხის აღება. აპარატმა გადმორიცხული თანხიდან 20 ლარი „გადაუყლაპა“. როგორც აღმოჩნდა, მისთვის ეს პირველი შემთხვევა არ ყოფილა და ახლობლებში რომ მოყვა, მათაც იგივე უთხრეს: ჩვენც გვართმევს ლიბერთი ბანკის აპარატები თანხის ხან 20, ხან — 10 ლარსო.

შემდეგ, როცა ბანკის თანამშრომელს ვუთხარით ამის შესახებ, ჯერ ვითომ არ დაიჯერა, მერე თავად შევამოწმებინეთ სხვა გზავნილის აღების შემთხვევაში და თავისი თვალით ნახა იგივე.

უბრალო ხალხს, ჩვეულებრივ მოქალაქეებს, ისედაც მძიმე სოციალურ ვითარებაში მყოფ ადამიანებს, პანდემიისგან დაზაფრულებს, დაძაბულ პოლიტიკურ ვითარებაში მყოფებს, ორიოდე გროშის წართმევაზე ჩასაფრებული ბანკები რომ კისერზე გვაჭერს, ჩვენს ჯიბეებში რომ ძვრება და კაპიკებსაც გვართმევს, ეს რანაირი სამართალია?!

ჩვენ ვითხოვთ კანონის მიხედვით მოგვემსახურონ და ჩვენი კუთვნილი თანხების დატაცება ბანკირებმა რკინის აპარატს არ დააბრალონ, რომელიც, სავარაუდოდ, თავიანთთვის სასარგებლოდ აქვთ მოწყობილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ლიბერთი ბანკის მიერ მოტყუებული, დაზარალებული და შეურაცხყოფილი მოქალაქეები (რომელთა რაოდენობა არც ისე ცოტაა) ქუჩაში გამოვალთ წინასაარჩევნოდ.

ნათელა ოსმაყაშვილი,
მევლუდინ კილასონია,
გოგი გოგონაშვილი,
ვალოდია ქრისტეფორეშვილი,
იბო დოლიძე,
ლენდი ტუღუში,
მანანა ბოლქვაძე-ინაური

ახალგაზრდა ქალბატონი დაგილაგებთ ბინებს, ოფისებს, აგარაკებს, ფართებს ახალაშენებულ კორპუსებში, შესარულებს სხვადასხვა დამხმარე სამუშაოებს.

ტელ.: 558 737125. 558 45 5387 ანა

სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)

ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს.

მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს.
მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:
ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან)
ტელ: 551 50 89 07

ბორის ბერულავას გახსენება

„ნეტარ არიან ყოველნი, რომელთა ეშინის უფლისა დავლენან გზათა მისთა“

„კაცს ორი სახელი უნდა ჰქონდესო, — ამბობს ჩვენი ერი. ერთი აქ დასარჩენი, მეორე თან წასაყოლიო“, — ამბობდა ილია მართალი.

თხემით ტერფამდე ქართველო, სულით, გულით მართლმადიდებელო, ღმერთის რჩეულო, სამშობლოს უძილო ერთგულო, საამაყო შვილო, მშობელო, მეუღლევ, მეგობარო, სიყვარულის, ერთგულების, თავდადების, ყველას ტკივილისა და სიხარულის თანაზიარო,

ბატონო ბორის,

სადაც კი ეროვნების, ჭეშმარიტების, პატრიოტული, ქართული გენის იდენტობის ნაპერწკალი ღვიოდა, თქვენ მუდამ იქ იდექით მთელი არსებით, სიმშვიდით, სიმდაბლით და მზად იყავით ყოველივე გაგეღოთ ამისთვის.

გტკიოდათ ჩვენი ბედკრული ერის ყოველი გასაჭირი, თანამონაწილე ბრძანდებოდით თავდადებულ მამულიშვილთა ღვაწლისა სარწმუნოების, ერის ტრადიციებს დაცვის საქმეში.

ბატონო ბორის, გვჯერა, რომ იქ იხილავთ ღირსეულ მამულიშვილთ, თქვენი უკვდავი სული დაიდებს ბინას მათ გვერდით, რომელთაც საკუთარი სისხლით წერეს ჩვენი ერის ისტორია, იქ იპოვით შვებას, სადაც მართალნი განისვენებენ.

გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი
მამა ბასილი (მკალავიშვილი),
მამა ვახტანგი,
მრავალრიცხოვანი მრევლი

ღირსების კაცი

ჩვენი საზოგადოება, ქვეყანა დაგვიანებით, ანდა საერთოდ ვერ იგებს, როგორ ეცლებიან ხელიდან საუკეთესო შვილები, წინა ხაზზე მებრძოლი ჯარისკაცებივით როგორ დაუნდობლად თხელდება ღირსების კაცების რიგები.

წაიქცა კიდევ ერთი საჩრდილობელი ხე, რომელიც მრავალწლიანი ნამოღვაწარით, თავისი ნაყოფით კარგა ხანია შეიცნო ყველამ, ვისაც კი ურთიერთობა ჰქონია ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორ, პროფესსორ, ბორის ბერულავასთან.

ბატონ ბორისთან და მის უსათნოეს მეუღლესთან, ქალბატონ ციალა გოგიასთან, სულ რამდენიმე წლის ახლობლობამ დაგვაკავშირა.

განსაცვიფრებელი იყო — ამ ორ ადამიანს თითქოს ერთი, საერთო სიყვარულის გულის კარი ჰქონდათ გაღებული და თავის ირგვლივ მხოლოდ სიკეთესა და კეთილ განწყობას ასხივებდნენ.

— მე და ბორიას სამოც წელიწადზე მეტი ხნის თანაცხოვრება გვაკავშირებდა. ვისი გზაა მხოლოდ ია-ვარდით მოფენილი, ჩვენი რომ ყოფილიყო, მაგრამ ისე გავატარეთ ეს წლები ოჯახში ჩემი მეუღლისაგან ხმამაღალი სიტყვა არ მახსოვსო, — შემომტირა ქალბატონმა ციალამ.

„ხმამაღალი სიტყვა“, ბორის ბერულავამ თავისი შინაარსიანი ცხოვრებით თქვა, როგორც მეცნიერმა, პედაგოგმა, სამშობლოს ჭეშმარიტმა, უკომპრომისო მოჭირნახულემ.

მეცნიერისადმი მიძღვნილ საიუბილეო მისალოცში ვკითხულობთ, ეს ყოველთვის წყნარი, უკონფლიქტო ადამიანი, უნივერსიტეტის მძიმე დღეებში,თავდადებით და შემართებით დადგა ჯავახისეული პრინციპების დასაცავადო.

ამ მაცდურ, უსწორმასწორო წუთისოფელში, როდესაც იოლი არ არის წონასწორობის შენარჩუნება, არც ბატონ ბორისს არ „მოცურებია ნაბიჯები“ (ფსალმუნი ასაფისა“ და პირნათელი მიეახლა გამჩენს.

ვანო ჩხიკვაძე
მწერალი, ეროვნული პრემიის ლაურეატი

GEMUANI

• გ ე მ უ ა ნ ი •

დღეს მსურს გაგაცნოთ ქართულ რეალობაში და არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიო მრეწველობაში ერთ-ერთი უნიკალური საწარმო და მოგითხროთ ამ საწარმოს საქმიანობის და მიზნების შესახებ.

საწარმოს ჰქვია „გემუანი“, რომელიც თავისი არსით და მისწრაფებებით, ნოვაციაა არა მხოლოდ საქართველოში და რეგიონში, არამედ მსოფლიო ბაზარზე.

მოვუსმინოთ „გემუანის“ ხელმძღვანელს, ქალბატონ **ნონა თორდიას**.

— ქალბატონო ნონა, გააცანით თქვენი თავი ჩვენს მკითხველებს. ვინ ბრძანდებით და რა მიზნებით მოხვედით ქართულ ბიზნესში?!

— მყავს მეუღლე და სამი შვილი. პროფესიით ფილოლოგი ვარ. რუსული და გერმანული ენების სპეციალისტი. შემდეგ მოსკოვში დავამთავრე საერთაშორისო ბიზნესის სკოლა. ამ მიმართულებით კურსები გავიარე გერმანიაში, გარკვეული პერიოდი ვმუშაობდი ამერიკაში. შემდეგ დავბრუნდი საქართველოში, რომ შემეცვალა სამყარო (იღიმება.), სამყაროს შეცვლა არ გამომივიდა, მაგრამ ვთვლი, რომ ბევრი რამ შევცვალე ჩემს გარშემო.

მას შემდეგ, რაც საქართველოში შეიქმნა ტენდენცია სოფლის მეურნეობის განვითარების კუთხით, იმის მიუხედავად, რომ სოფლის მეურნეობასთან არავითარი კავშირი მანამდე არ მქონია, დავიწყე ფიქრი და მოქმედებები ამ მიმართულებებით.

უნდა აღვნიშნო, რომ საქმისკენ, გარკვეულწილად, მამაჩემმა ვაჟა (პანტიკო) თორდიამ მიბიძგა. ზუგდიდის რაიონის სოფელი ზედა ეწერი გახლავთ მამაჩემის მშობლიური სოფელი. ბოლო წლებში იქ მამას ინიციატივით ეკლესიაც აშენდა, მიწაც გვაქვს, სადაც კივის პლანტაციები გავაშენეთ. თუმცა ყველაფერი მაინც ჰობის დონეზე იყო.

უკვე 2015 წელს, როცა მეურნეობა გაფართოვდა და კივის პლანტაციები უხვმოსავლიანი გახდა, მივხვდი, რომ ყველაფერ ამას სჭირდებოდა სხვანაირი პატრონობა — ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება. ამასობაში „CGLOBAL G.A.P“-ის სერტიფიცირებას მივაღწიეთ. „CGLOBAL G.A.P.“-ის სერთიფიკატი, მოგეხსენებათ, მხოლოდ ჯანსაღ ნედლეულს ეძლევა. სხვა სერთიფიკატები, როგორც იცით, უკვე საწარმოებს ენიჭება. მაგალითად, „ISO-22000“, არის უფრო მაღალი დონის სერთიფიკატებიც.

მოკლედ, ასე ვაგრძელებთ მუშაობას.

მოგეხსენებათ, ყველა მოსავალს აქვს პიკი. პირველ წლებში კულტურა მოსავლის 30% იძლევა, შემდეგ წლებში კი მაქსიმუმს აღწევს.

საბედნიეროდ, ჩვენი პლანტაციების უხვმოსავლიანობა დაემთხვა იმ პერიოდს, როცა საქართველოში სოფლის მეურნეობისადმი განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა პრიორიტეტული გახდა. სახელმწიფომ დიდი და სერიოზული პროგრამები შესთავაზა სოფლის მეურნეობის განვითარებით დაინტერესებულ პირებს. ამ საქმეში საერთაშორისო ორგანიზაციებიც ჩაერთნენ — USAID, EU და სხვა. ჩვენც ჩავერთეთ ამ პროგრამებში. და გადავწყვიტეთგადამამუშავებელი საწარმოს გახსნა. გრანტიც მოვიპოვეთ, დავიწყეთ მუშაობა. აღსანიშნავია, რომ, როცა ასეთ საქმეს ჰკიდებ ხელს, მთავარი ის არ არის, მიიღებ გრანტს თუ არა. რა თქმა უნდა, გრანტი და თანხები აუცილებელი დახმარებაა, მაგრამ მნიშვნელოვანი მაინც არის ტექნიკური მხარდაჭერა, როცა

გეხმარებიან საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობაში, კონსულტანტების მოძიებაში და ა.შ.

2017 წელს საწარმო უკვე გვქონდა ამოქმედებული და პროდუქციაც გავიტანეთ საერთაშორისო გამოფენაზე.

სულ ვფიქრობდი, როგორ შეიძლება არ არსებობდეს კვებითი მრეწველობის მიმართულებით ისეთი რამ, რაც საქართველოში განვითარებული არაა-მეთქი და ვიპოვე ეს ტექნოლოგიაც — სუბლიმაცია, ანუ ყინულის აორთქლება თხევადი სტადიის გავლის გარეშე, რომელიც გამოიგონეს საფრანგეთში, შემდეგ ის მიითვისეს ამერიკელებმა და ახლა „ნასას“ საკვებ ტექნოლოგიებში იყენებენ სუბლიმაციას საკვები პროდუქტების მოსამზადებლად კოსმონავტებისთვის და ჯარისკაცებისთვის. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ტექნოლოგია საკვების ხანგრძლივი შენახვისთვის.

— როგორ მუშავდება ნედლეული და როგორ იქმნება პროდუქტი, რომელიც არ ფუჭდება?

— პროცესი მიმდინარეობს მხოლოდ ძალიან დაბალ ტემპერატურაზე, –45 გრადუსი ცელსიუსიდან +45 გრადუსი ცელსიუსამდე.

დასაწყისში საკვები პროდუქტი იყინება 45 გრადუს ცელსიუსზე, ე.წ. საჰაერო ბალიშში. ამ ტემპერატურაზე ნებისმიერ საკვებ პროდუქტში არსებული წყალი გადაიქცევა ყინულის კრისტალებად. შემდეგ გაყინული პროდუქტი თავსდება ვაკუუმში (სუბლიმაციურ კამერაში), სადაც ყინულის კრისტალები ორთქლდება პროდუქტიდან. საკვები კი ფორმასაც ინარჩუნებს და შემადგენლობასაც. ყველა მიკროელემენტი, პროდუქტის მთელი შემადგენლობის 98%-ი საკვებში რჩება. პროდუქტის დამუშავების ეს ტექნოლოგია ითვლება ყველაზე უსაფრთხოდ და ჯანსაღად.

პროდუქტი არის მსუბუქი და ჰაეროვანი. მისი ტენიანობა არის მხოლოდ 0,5-5%, რადგან პროდუქტში არ არის წყალი, მასში არ ჩნდება მიკროორგანიზმები და არ ახდენს მასზე ზემოქმედებას რადიაცია.

იმის გარდა, რომ ამ სახით დამუშავებული საკვები პროდუქტები საჭიროა კოსმონავტებისა და ჯარისთვის, მას უკვე იყენებენ, აგრეთვე, შორეულ მოგზაურობაში მყოფი ადამიანები, ალპინისტები და ა.შ.

— ჯერ ქართულ ბაზარზე არ გამოსულხართ? ძირითადად საერთაშორისო ბაზრებზე მუშაობთ?

— ჩვენ ქართული ბაზრით დავიწყეთ. საქართველოს ბაზარი ჩვენი მომხმარებელია უკვე დიდი ხანია. „გუდვილის“, „აგროჰაბის“ დახლებზე არის ჩვენი პროდუქტი. „ნიკორაშიც“ გვაქვს, თუმცა ახლა უნდა გამოვიტანოთ, რადგან შეფუთვას ვცვლით.

— ნედლეულს საიდან იღებთ. როგორც მივხვდი, ამხელა მეურნეობა ჯერ თქვენ არ გექნებათ.

— წარმოებას რომ ვიწყებდით, აქცენტი გამახვილებული გვქონდა ადგილობრივ ფერმერებზე, მით უფრო, რომ „IPS“ სერთიფიკატი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მიმწოდებლებს და მათი პროდუქციის კონტროლს. ჩვენ უნდა გვცოდნოდა, როგორ, რა პირობებში, როდის მოიყვანეს პროდუქცია, რა პრეპარატებს იყენებდნენ, როგორ აიღეს მოსავალი, რა პირობებში შეინახეს, რა ჰიგიენურ პირობებში ჰქონდათ პროდუქტი მოკრეფილი და ა.შ. ამ საკითხებზე ჩვენ თვითონ ვუწევდით კონსულტაციებს ფერმერებს. ძალიან ბევრი ნიუანსია, რაც, შეიძლება, ერთი შეხედვით, მნიშვნელოვნად, არც მოგეჩვენოთ. ეს არც ისე ადვილი იყო მათთვისაც.

მაგრამ, რაც სიამაყით და სიამოვნებით მინდა ავღნიშნო: ჩვენს წარმოებაში ვასაქმებთ მხოლოდ ადგილობრივებს.

ჩვენთან სამუშაო პირობები სრულად შეესაბამება საერთაშორისო სტანდარტებს.

ვიცი, რომ ჩემთან მუშაობა ადვილი არ არის. მე წესრიგი მიყვარს და მჭირდება. პასუხისმგებლობა მთავარი პირობაა. ერთმანეთზეა ყველაფერი გადაჯაჭვული, ამიტომაც ერთის შეცდომა მაშინვე ხვდება თვალს.

— საქართველოში მომხმარებელი ჰყავს თქვენს პროდუქციას?

— ძალიან გამიკვირდა, რომ უამრავი ადამიანი დაინტერესდა ჩვენი პროდუქციით. კერძოდ, ისეთი ადამიანები, რომლებსაც სპეციფიკური დაავადებები აქვთ: დიაბეტით დაავადებულები, ჩვილი ბავშვები, კუჭ-ნაწლავის დაავადებების მქონე ადამიანები, ისინი, რომლებსაც აუცილებლად სჭირდებათ დიეტა ჩვენი მომხმარებლები არიან.

და რაც ყველაზე მთავარია და გამომრჩა, რომ მეთქვა: „გემუანი“, „ნესტლეს“ მიმწოდებელი გახდა.

— როგორ შეძელით ამხელა საქმის გაძღოლა?

— თავადაც არ ვიცი (იღიმება). არ ვჭამდი, არ მეძინა. მაგალითად, გასულ წელს კომპიუტერთან ვიჯექი მთელი 9 თვე. ურთულესი იყო სერთიფიცირების პროცესი.

— მოთხოვნილება „გემუანის“ პროდუქტზე, სავარაუდოდ, გაიზრდება, რადგან თქვენ ე.წ. მომავლის საკვებს ამზადებთ.

— საქართველოში, შეიძლება, ბევრი არ გვიცნობს, მაგრამ საზღვარგარეთ უკვე პოპულარული ვართ. როგორც გითხარით, „ნესტლეს“ მიმწოდებლები გავხდით, ანუ გვაქვს ჩვენი ნომერი, რაც გულისხმობს, რომ „ნესტლეს“ კომპანიებს შეუძლია შეგვიკვეთოს პროდუქცია მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან.

შარშან და შარშანწინ საქართველოში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ჩვენს მიერ დამზადებული ჩაქაფულის ნაკრები, ტყემალი, ჩვენი ტექნოლოგიით დამუშავებული ტარხუნა, რომელსაც ვერ განასხვავებდით ახალდაკრეფილი ტარხუნისგან და ტყემლისგან.

ვაპირებთ რძის პროდუქტებზე მუშაობასაც, ჩვენი ტექნოლოგიით, ჩაის წარმოებასაც, რომელიც საოცრად გემრიელი და არომატული გამოდის. .

ახლახან გურიაში, ტყეში, აღმოვაჩინეთ ტრიფოლიატი, რომელიც აქამდე უბრალო ეკლიანი ბუჩქი ეგონა ყველას და თქვენ, იცით, საერთოდ, როგორი სასარგებლოა ტრიფოლიატი? — საოცარი რამეა.

ჩვენ უკვე გავაშრეთ ჩვენი ტექნოლოგიით ტრიფოლიატის ნაყოფი. მასში ჩადებული ჩვეულებრივი ჩაი უგემრიელესია.

— ქალბატონო ნონა, პოლიტიკაში დღეს ბევრს საუბრობენ გენდერულ ბალანსზე. არ გიფიქრიათ პოლიტიკაში მოსვლაზე?

— დიდი ხანი არ არის, რაც შემოთავაზება მივიღე ერთ-ერთი პოლიტიკური ჯგუფისგან. ჯერჯერობით გადაწყვეტილება არ მიმიღია. შეიძლება აღმოვჩნდე მათ გვერდით. თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ არ გავაკეთებ ჩემს საქმეს, ან მივატოვებ „გემუანს“ — მე ვჭირდები წარმოებას და რაც მთავარია, სამეგრელოს, ზუგდიდს და კერძოდ, ზედა ეწერს. ნელ-ნელა უნდა განვითარდეს ჩვენი რეგიონები და საქართველოს სოფლის მეურნეობა.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

საერთო საქმე
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯგ“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

გაზეთის გავრცელების სამსახური: 599 58-72-50. ბესო ცარციძე (მენეჯერი).

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99

ISSN 2233-3983

9 772233 398001

http://www.saertogazeti.ge